საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

2022 წელი

სარჩევი

აბრევიატურები და შემოკლებები *2*

1. მოკლე შეჯამება *3*

2. შესავალი *8*

3. ზოგადი პროგრესი *11*

3.2. დეტალური პროგრესი **12**

3.2.1. სექტორული პრიორიტეტი 1: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება 13

3.2.2. სექტორული პრიორიტეტი 2: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა 21

3.2.3. სექტორული პრიორიტეტი 3: არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა 35

3.2.4. სექტორული პრიორიტეტი 4: დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია 52

3.2.5. სექტორული პრიორიტეტი 5: დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში 58

3.2.6. სექტორული პრიორიტეტი 6: თავშესაფრის სისტემის განვითარება 63

3.2.7. სექტორული პრიორიტეტი 7: უცხოელთა ინტეგრაცია 67

4. გამოწვევები და რეკომენდაციები **74**

აბრევიატურები და შემოკლებები

განათლების სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
დევნილთა სააგენტო	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
მეას	მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა
მსსკ/კომისია	საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია
მსსკ-ის სამდივნო	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო
ოტს	სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
სამოქმედო გეგმა	საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სტრატეგია	საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია
სგპ	სასაზღვრო გამტარი პუნქტი
სსგს	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
შრომის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
შსს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
COVID-19	კორონავირუსული დაავადება - 19
EMN	მიგრაციის ევროპული ქსელი (ევროკავშირი)
FRONTEX	საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო (ევროკავშირი)
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
ICAO PKD	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ღია გასაღების დირექტორია
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
JMOC	საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი
RCMES	რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემა
SOC	უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრი
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

1. მოკლე შეჯამება

საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N810 დადგენილებით[1]; სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა[2] კი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ 2021 წლის იანვარში დაამტკიცა. ორივე დოკუმენტი შემუშავდა მსსკ-ის წევრი სახელმწიფო უწყებების მიერ კომისიის ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფის - მიგრაციის ლაბორატორიის მიერ, ევროკომისიის საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატის, კომისიის პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მონაწილეობით.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“[3] შესაბამისად ხდება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში მზადდება გეგმის განხორციელების დაწყებიდან ყოველი მომდევნო წლის გასვლის შემდეგ 60 კალენდარული დღის ვადაში. მოცემული ანგარიში აღწერს სტრატეგიის განხორციელების პროგრესს 2021 წლის (01.01.2021-31.12.2021) მდგომარეობით.

2021 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიით გათვალისწინებული 7 სექტორული პრიორიტეტი (მიზანი), 42 ამოცანა, ამოცანის შედეგის 69 ინდიკატორი და 114 აქტივობა (იხ. ცხრილი N 1).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სამოქმედო გეგმის საშუალო განხორციელების დონემ 2021 წელს 95%-ს მიაღწია. სამოქმედო გეგმის აქტივობების 69% განსაზღვრულ დროში სრულად (77 აქტივობა) ან ვადაგადაცილებით (2 აქტივობა) განხორციელდა.

აქტივობების ზოგადი განხორციელების დონე სტატუსების და პროგრესის მაჩვენებლების მიხედვით და სექტორული პრიორიტეტების (მიზნების) ჭრილში წარმოდგენილია დიაგრამებით N 1, N 2 და N 3.

[1] https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf (წანახია: 17.05.2022).
[2] https://migration.commission.ge/files/ms_ap_2021_with_logframe_16.03.21.pdf (წანახია: 17.05.2022).
[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0 (წანახია: 17.05.2022).

დიაგრამა N 1. აქტივობების ზოგადი განხორციელების დონე სტატუსებისა და პროგრესის მაჩვენებლების მიხედვით



დიაგრამა N 2. აქტივობების ზოგადი განხორციელების დონე სექტორული პრიორიტეტების (მიზნების) ჭრილში სტატუსების მიხედვით



დიაგრამა N 3. ყველა აქტივობის განხორციელების დონე პროგრესის მიხედვით



შენიშვნა: *დიაგრამა N3-ში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის განხორციელების პროგრესს შესრულების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.*

აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოსთვის 4 აქტივობას აქვს სტატუსი „არ დაწყებულა“, მათგან ერთი უნდა განხორციელებულიყო მე-3 კვარტალში, ხოლო დანარჩენი სამი - მე-4 კვარტალში. დარღვეულია 2 აქტივობის განხორციელების ვადა, რომელთა შესრულება 1-ლ და მე-3 კვარტლებში იყო დაგეგმილი (იხ. დიაგრამა N 4).

დიაგრამა N 4. ყველა აქტივობის სტატუსი განხორციელების ვადის მიხედვით



COVID-19-ის გავლენა

2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა მსოფლიოსა და საქართველოში არსებულმა COVID-19-ით შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ და დაწესებულმა ცალკეულმა შეზღუდვებმა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საერთო რაოდენობიდან (114) 16 აქტივობის (14%) განხორციელებაზე გავლენა მოახდინა COVID-19-ის პანდემიამ (იხ. დიაგრამა N 5).

დიაგრამა N 5. COVID-19-ის გავლენა აქტივობების განხორციელების დონეზე



COVID-19-ის გავლენის შედეგად, 2021 წელს 7 აქტივობის შემთხვევაში სრული პროგრესის მიღწევა შეუძლებელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მეტწილად შესრულდა (იხ. დიაგრამა N 6).

დიაგრამა N 6. COVID-19-ის გავლენის შედეგად აქტივობის სტატუსი



პანდემიის გარდა, შემდეგი გამოწვევები გამოიკვეთა ლოგიკური ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის შემუშავების და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის პროცესში:

- ამოცანის/აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასრულად შეფასება და, შესაბამისად, განხორციელების ვადების გარკვეული ცდომილებით განსაზღვრა, ვადებში ჩამორჩენა ან წინსწრებით შესრულება;
- ინდიკატორების და სამიზნე მაჩვენებლების ცდომილებით შეფასება და, შესაბამისად, გადაჭარბებით შესრულება.

დადგენილ ვადებში აქტივობების განხორციელების შეფერხება/განუხორციელებლობა უმეტეს შემთხვევაში აფერხებს სტრატეგიული ამოცანების შესრულებას და საერთო ჯამში გავლენა აქვს სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაზე.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ განისაზღვრა შემდეგი სახის რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება პასუხისმგებელ უწყებებს და მსსკ-ის სამდივნოს უფრო ეფექტიანად წარმართონ როგორც სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე მისი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი:

- სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის მიზნით, სექტორული პრიორიტეტების მიხედვით გაანალიზდეს იმ ამოცანების შედეგის ინდიკატორები, რომლებსაც 2021 წლის ბოლოსთვის რაოდენობრივი მაჩვენებელი არ ჰქონიათ. ამ კრიტერიუმით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ იმ სექტორულ პრიორიტეტებს, რომელთაც ყველაზე მეტი აქტივობა და ამოცანის შედეგის ინდიკატორი აქვთ;
- ყურადღება გამახვილდეს იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთაც შედეგების ინდიკატორის მიღწევის შუალედურ მაჩვენებლად განსაზღვრული აქვთ 2022 წელი და 2021 წლის ბოლოსთვის პროგრესის მაჩვენებელი ინდიკატორთან მიმართებით არ ფიქსირდება;
- ყურადღება გამახვილდეს იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთაც 2021 წლის ბოლოსთვის შედეგის ინდიკატორის მიღწევასთან მიმართებით საშუალო პროგრესი აქვთ, თუმცა სამიზნე მაჩვენებლების (2025 წელი და 2030 წელი) მიღწევის თვალსაზრისით საჭიროებენ შესაბამისი ღონისძიებების აქტიურ იმპლემენტაციას;
- შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდეს წინა წლის სამოქმედო გეგმის იმ აქტივობებზე, რომელთა განხორციელებაც შეჩერდა ან/და არ დაწყებულა;
- შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდეს იმ სექტორულ პრიორიტეტებზე, რომლებსაც მოცემული მომენტისთვის პროგრესის მაჩვენებელი არ ან მინიმალური ექნებათ;
- აქტივობების დაგეგმვის დროს შესრულების ვადად განისაზღვროს ოპტიმალური პერიოდი და არა მაქსიმალური ვადა;
- სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში დროულად დაიწყოს იმ აქტივობების განხორციელება, რომელთაც შესრულების ვადად მე-3 ან მე-4 კვარტალი აქვთ განსაზღვრული;

- გარკვეული სექტორული პრიორიტეტების ფარგლებში (გადაჭარბებით) მიღწეული პროგრესის მიუხედავად, დაიგეგმოს და განხორციელდეს რელევანტური აქტივობები, რომლებიც თანმიმდევრულად და ეტაპობრივად უზრუნველყოფენ ამოცანის შედეგების ინდიკატორების საბოლოო მაჩვენებლების მიღწევადობას;
- ამასთან, გაანალიზდეს რამდენად რეალისტურია ლოგიკური ჩარჩოთი გაწერილი ამოცანების შედეგების ინდიკატორების შუალედური და საბოლოო მაჩვენებლები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

2. შესავალი

სტრატეგია წარმოადგენს მიგრაციის სფეროში ქვეყნის რიგით მეოთხე სტრატეგიულ დოკუმენტს. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება „მიგრაციის და განვითარების“[4] პრინციპს, რომელიც ემსახურება მიგრაციის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას და დადებითი ეფექტის გაზრდას, რაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის განვითარებისთვის. სტრატეგიაში განსაზღვრულია ისეთი სექტორული პრიორიტეტები, როგორებიცაა: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, თავშესაფრის სისტემის განვითარება და უცხოელთა ინტეგრაცია. სტრატეგიას თან ახლავს ლოგიკური ჩარჩო, რომელშიც წარმოდგენილია სტრატეგიის მიზნები, ამოცანები და შესაბამისი ინდიკატორები საბაზისო, შუალედური და საბოლოო მაჩვენებლებით.

სტრატეგია დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N810 დადგენილებით[5]; სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა[6] კი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ 2021 წლის იანვარში დაამტკიცა. ორივე დოკუმენტი შემუშავდა მსსკ-ის წევრი სახელმწიფო უწყებების მიერ კომისიის ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფის - მიგრაციის ლაბორატორიის მიერ, ევროკომისიის საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატის, კომისიის პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მონაწილეობით.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით დამტკიცებული

---

[4] პრინციპი „მიგრაცია და განვითარება“ არის ფართო გაგების და გულისხმობს ყველა იმ თემატური მიმართულების კოორდინირებულ, სწორ და პრაგმატულ ორკესტრირებას, რომელიც ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს, რაც ეკონომიკურთან ერთად გულისხმობს სოციალური, კულტურული, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

[5] https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf (წანახია: 17.05.2022).

[6] https://migration.commission.ge/files/ms_ap_2021_with_logframe_16.03.21.pdf (წანახია: 17.05.2022).

„პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“[7] შესაბამისად ხდება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში მზადდება გეგმის განხორციელების დაწყებიდან ყოველი მომდევნო წლის გასვლის შემდეგ 60 კალენდარული დღის ვადაში. მოცემული ანგარიში აღწერს სტრატეგიის განხორციელების პროგრესს 2021 წლის (01.01.2021-31.12.2021) მდგომარეობით.

2021 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიით გათვალისწინებული 7 სექტორული პრიორიტეტი (მიზანი), 42 ამოცანა, ამოცანის შედეგის 69 ინდიკატორი და 114 აქტივობა (იხ. ცხრილი N 1).

ცხრილი N 1. 2021 წლის სამოქმედო გეგმის ამოცანების და აქტივობების რაოდენობა სექტორული პრიორიტეტების მიხედვით

N	სექტორული პრიორიტეტი	ამოცანები	ამოცანის შედეგის ინდიკატორები	აქტივობები
1.	მიგრაციის მართვის გაუმჯობესება	6	11	19
2.	ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა	9	15	28
3.	არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა	12	20	33
4.	დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია	5	6	6
5.	დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში	3	6	10
6.	თავშესაფრის სისტემის განვითარება	2	5	8
7.	უცხოელთა ინტეგრაცია	5	6	10

სამოქმედო გეგმის აქტივობების 86%-სთვის განხორციელების ვადად განსაზღვრული იყო მე-4 კვარტალი (იხ. დიაგრამა N 7).

[7] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0 (ნანახია: 17.05.2022).

დიაგრამა N 7. აქტივობების შესრულების ვადები



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 87%-ზე პასუხისმგებელი არის შემდეგი ოთხი უწყება (იხ. ცხრილი N2): საგარეო საქმეთა სამინისტრო (29 აქტივობა - 26%), იუსტიციის სამინისტრო (24 აქტივობა - 21%), შინაგან საქმეთა სამინისტრო (23 აქტივობა - 20%) და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (23 აქტივობა - 20%) (იხ. ცხრილი N 2).

ცხრილი N 2. სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების აქტივობის რაოდენობრივი მაჩვენებელი



3. ზოგადი პროგრესი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების საშუალო დონემ 95%-ს მიაღწია: აქტივობების 67% განხორციელდა განსაზღვრულ ვადებში, 2% განხორციელდა დაგვიანებით, 17% მეტწილად შესრულდა და 9% ნაწილობრივ შესრულდა. დანარჩენი 5% მოიცავს არ დაწყებულ (3%) და შეჩერებულ (2%) აქტივობებს (იხ. დიაგრამა N 8).

დიაგრამა N 8. სამოქმედო გეგმის განხორციელების საშუალო დონე



2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად ამოცანის შედეგის 69 ინდიკატორიდან 40-ის (58%) შემთხვევაში შესრულების პროგრესი აღინიშნება (იხ. დიაგრამა N 9).

დიაგრამა N 9. სტრატეგიის ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესი სექტორული პრიორიტეტების (მიზნების) მიხედვით



<u>შენიშვნა:</u> <u>მოცემულ ანგარიშში სტრატეგიის თითოეული ამოცანის შედეგის შესრულების პროგრესი განხილულია შუალედური და საბოლოო სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ჭრილში (შესაბამისი ვადების გათვალისწინებით) და არა კონკრეტული საანგარიშო (2021) წლის მდგომარეობით.</u>

უწყებების მიხედვით, აქტივობების განხორციელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს იმ ოთხ ძირითად უწყებას, რომლებიც სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების უმრავლესობის (87%) განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელი (იხ. დიაგრამა N 10).

დიაგრამა N 10. აქტივობის განხორციელების პროგრესი უწყებების მიხედვით



3.2. დეტალური პროგრესი

<u>შენიშვნა:</u> *<u>პროგრესის მაჩვენებელი გრაფიკული გამოსახულების ფერების განმარტება:</u>*

- *განხორციელდა*
- *მიმდინარე - მეტწილად შესრულდა*
- *მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა*
- *არ დაწყებულა*
- *შეჩერებულია*
- *დაგვიანებით განხორციელდა*

3.2.1. სექტორული პრიორიტეტი 1: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება

მიგრაციის მართვის გაუმჯობესების სექტორული პრიორიტეტი მოიცავს 6 ამოცანას, ამოცანის შედეგის 11 ინდიკატორს და 19 აქტივობას. აქტივობების უმრავლესობა (15) განხორციელდა სრულად, განსაზღვრულ ვადებში (14) ან დაგვიანებით (1). მხოლოდ თითო-თითო აქტივობა განხორციელდა ნაწილობრივ ან მეტწილად. აღსანიშნავია, რომ 1 აქტივობის შემთხვევაში განსაზღვრული ღონისძიებები არ დაწყებულა, ხოლო 1 აქტივობის განხორციელება შეჩერდა (იხ. დიაგრამა N 11).

დიაგრამა N 11. აქტივობის განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში



დეტალური პროგრესი პირველი მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

მიზანი 1. ძლიერ ინსტიტუტებზე დაფუძნებული მიგრაციის მართვის სისტემის განვითარება, პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის საშუალებების გაუმჯობესების, საყოველთაო ჩართულობის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

ამოცანა 1.1. მიგრაციის სტრატეგიული მართვის გაუმჯობესება, კოორდინაციის არსებული მექანიზმის (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია და მისი სამდივნო) გაძლიერების გზით

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1. 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმების განხორციელების დონე

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი (1) აქტივობა განსაზღვრულ ვადებში სრულად არის შესრულებული.

სტრატეგიის ფარგლებში ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცესის მაკოორდინებელ ორგანოდ განსაზღვრულია მსსკ-ის სამდივნო. მსსკ-ის სამდივნოს აქტიური კოორდინაციითა და კომისიის წევრი უწყებების ჩართულობით შემუშავდა და მსსკ-ის მიერ 2021 წლის დეკემბერში დამტკიცდა 2022 წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა ასევე შეთანხმდა დონორ/ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა COVID-19-ით შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ და დაწესებულმა შეზღუდვებმა (იხ. დიაგრამა N 5 და N 6). საანგარიშო წლის ბოლოს აქტივობების 69% სრულად განსაზღვრულ ვადებში (67%) ან ვადაგადაცილებით (2%) შესრულდა (იხ. დიაგრამა N 2).

<u>ამოცანის განხორციელების პროცესი მიუთითებს პროგრესზე; შესაბამისად, პასუხისმგებელი უწყება ახლოსაა შუალედური (2025 წელი) და საბოლოო (2030 წელი) მაჩვენებლის მიღწევასთან (იხ. დიაგრამა N 12).</u>

დიაგრამა N 12 1.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორი



დეტალური პროგრესი პირველი მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 1.2. მიგრაციის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

1.2.1. მიგრაციის საკითხებზე კომისიის წევრი უწყებების ინიციატივით ან/და მათ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია/განხილვების რაოდენობა უწყებათაშორის ფორმატში;

1.2.2. მიგრაციის ერთიანი რისკების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშების რაოდენობა;

1.2.3. მეას-ის რამდენიმე წყაროზე დაფუძნებული ანგარიშების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გაწერილი აქტივობების 83% (5) შესრულდა განსაზღვრულ ვადებში, ხოლო ერთი აქტივობა შეჩერებულ იქნა, რაც გამოწვეული იყო COVID-19-ის პანდემიით.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მომზადდა და დამტკიცდა საქართველოს 2021 წლის მიგრაციის პროფილი.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო მიგრაციის საკითხებზე დაგეგმილი კვლევის (რაც პირისპირ ინტერვიუებს მოიაზრებდა) ჩატარება 2022 წლისთვის გადაიდო. 2021 წელს ინიციირებულ იქნა მხოლოდ კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები (განახლდა კვლევის ტექნიკური დავალების დოკუმენტი და ამოცანები, ასევე განხორციელდა ბაზრის შესწავლა/ფასების მოკვლევა). მოცემული ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა/არმიღწევა შეფასდება აღნიშნული და კომისიის წევრი უწყებების მიერ დაგეგმილი სხვა კვლევებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შემდგომი წლების სამოქმედო გეგმებში აღნიშნული აქტივობა კვლავ გათვალისწინებული იყოს და პასუხისმგებელმა უწყებებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ მისი განხორციელება.

მიგრაციის რისკების ერთიანი ანალიზის წარმოების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა როგორც უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, ასევე ორმხრივი შეხვედრები კომისიის წევრ უწყებებთან. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა 2020 წელს დამტკიცებული მეთოდოლოგიის გამოყენებით რისკის ანალიზის დოკუმენტის შემუშავებას და მასთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვას. 2021 წლის ბოლოსთვის აღნიშნული პროგრესი დამაკმაყოფილებელია, თუმცა ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ სამოქმედო გეგმებში მიზნობრივად გაიწეროს ის აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრესის უწყვეტობას.

მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მსსკ-ის წევრი უწყებების დაკვეთით მომზადდა 3 ანგარიში. შედეგად, მიღწეულ იქნა შუალედური მაჩვენებლის 10%, ხოლო საბოლოო მაჩვენებლის - 5%. განხორციელებული ღონისძიებები მიუთითებს იმაზე, რომ პროგრესი განსაზღვრული ვადებისა და მაჩვენებლების შესაბამისად მიმდინარეობს და პასუხისმგებელი უწყება ახლოსაა სამიზნე მაჩვენებლის მიღწევასთან.

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1.2 ამოცანის მხოლოდ ამოცანის შედეგის 1-ლი ინდიკატორის შემთხვევაში აღინიშნება სამიზნე მაჩვენებლის (2025 წელი და 2030 წელი) რაოდენობრივი შესრულების პროგრესი, ხოლო ამოცანის შედეგის დანარჩენ ორ ინდიკატორთან მიმართებით - სამიზნე მაჩვენებლების (2025 წელი და 2030 წელი) რაოდენობრივი განხორციელების პროგრესი საანგარიშო წლისთვის არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 13).

დიაგრამა N 13. 1.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი პირველი მიზნის მესამე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 1.3. მიგრაციის მონაცემების მართვის შემდგომი გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

1.3.1. მეას-ში დამატებული მონაცემთა ახალი წყაროების რაოდენობა;

1.3.2. მიგრაციული სტატისტიკის ხარისხის გაზრდის მიზნით გამოქვეყნებული ახალი მონაცემების რაოდენობა;

1.3.3. არსებობს მოსახლეობის პროგნოზების მეთოდოლოგიის საფუძველზე დამუშავებული მონაცემები.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, საანგარიშო პერიოდში გაწერილი აქტივობების 80% (4 აქტივობა) პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესრულდა განსაზღვრულ დროში (3 აქტივობა) ან ვადაგადაცილებით (1 აქტივობა). აღსანიშნავია, რომ 1 აქტივობის განხორციელება საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა.

2021 წელს გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა მიგრაციის მონაცემთა მართვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, მეას-ის მონაცემთა წყაროების გაფართოებისთვის - ემიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემთა ორი წყაროს იდენტიფიცირება და მათი მეას-ში ინტეგრირების შესაძლებლობის ანალიზი. ამასთან,

განხორციელდა მეას-ის მონაცემთა მოწყობისა (კერძოდ, მოხდა მონაცემთა ნაკადის ავტომატიზაცია, შეიქმნა მონაცემთა მიწოდების პლატფორმა, შემუშავდა მონაცემთა წყაროებში მონაცემების ცვლილებების იდენტიფიცირების მექანიზმი და განახლდა მონაცემთა მოდელი) და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოდიფიკაცია (კერძოდ, განისაზღვრა მომხმარებელთა წვდომები, განახლდა სისტემის ვერსია და საერთო პროგრამული განვითარების სერვერი). ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ გავლენა იქონია მეას-ის საკითხებზე მომუშავე ადამიანური რესურსების მობილიზებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო წელიწადში მეას-ს განსაზღვრული წყაროდან მონაცემები არ წამოუღია, პროგრესი ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის მიზნით დამაკმაყოფილებელია.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, მიგრაციის სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მონაცემთა ერთი ახალი წყარო და შესწავლილ იქნა მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

2021 წლის ბოლოსთვის 1.3 ამოცანის შედეგის არცერთ ინდიკატორზე სამიზნე მაჩვენებლის (2025 წელი და 2030 წელი) რაოდენობრივი შესრულების პროგრესი არ აღინიშნება. თუმცა განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა მომავალ წლებში სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრულ ვადებში მიღწევის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა N 14).

დიაგრამა N 14. 1.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი პირველი მიზნის მეოთხე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 1.4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა და ჩართულობის გაზრდა მიგრაციის მართვაში

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

1.4.1. მუნიციპალიტეტებში მიგრაციის სფეროში განხორციელებული პროექტების რაოდენობა;

1.4.2. მიგრაციის სფეროში პროექტების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებიდან (სულ 2) ერთი შესრულდა განსაზღვრულ ვადებში. მეორე აქტივობის შემთხვევაში პროგრესი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღწეული, რაც გამოწვეული იყო COVID-19-ის პანდემიით.

მიგრაციის თემატიკაზე ადგილობრივი თვითმართველობის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით კახეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგი „დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციისადმი ინტეგრირებული მიდგომის საკითხებზე“, რომელსაც დაესწრნენ კახეთის რეგიონის შერჩეული მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციათა წარმომადგენლები.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა შერჩეულ მუნიციპალიტეტში მიგრაციის თემატიკაზე საპილოტე პროექტის განხორციელების ხელშეწყობას. თუმცა საპილოტე პროექტი შერჩეული მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ვერ აისახა, რაც დაკავშირებული იყო პანდემიის შედეგად გამოკვეთილ ახალ პრიორიტეტებთან. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში საპილოტე მუნიციპალიტეტებში მიგრაციის სფეროში ახალი პროექტები არ დაწყებულა (რასაც დიდწილად ხელი შეუშალა პანდემიამ), განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეული საფუძველი შეიქმნა მომავალ წლებში ასეთი ტიპის პროექტების ინიციირებისთვის.

<u>განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის ბოლოსთვის 1.4 ამოცანის შედეგის არცერთ ინდიკატორზე სამიზნე მაჩვენებლის (2025 წელი და 2030 წელი) რაოდენობრივი შესრულების პროგრესი არ აღინიშნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად სამომავლო ღონისძიებების დროული დაგეგმვა და განხორციელება (იხ. დიაგრამა N 15).</u>

დიაგრამა N15. 1.4. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი პირველი მიზნის მეხუთე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 1.5. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება მიგრაციის მართვის კუთხით სიახლეების დანერგვის და მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.5.1. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან/და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით საქართველოში მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროექტების რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებიდან (4) სამი შესრულდა განსაზღვრულ ვადებში, ხოლო ერთი აქტივობის შემთხვევაში პროგრესი მეტწილად იქნა მიღწეული.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (ICMPD, EU-EMN, IOM), 2021 წელს ჩატარდა ორი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა მიგრაციის მართვის მექანიზმების, არსებული ტენდენციების და თანამედროვე გამოწვევების შესახებ საერთაშორისო და რეგიონული გამოცდილების გაზიარებას.

EMN-თან თანამშრომლობის ფარგლებში კი საანგარიშო პერიოდში დასრულდა მიგრაციისა და თავშესაფრის ლექსიკონის (V.7.0) ქართულენოვანი ვერსიის თარგმნის პროცესი. მომდევნო ეტაპზე განსაზღვრულია ლექსიკონის ვალიდაცია, ელექტრონული ვერსიის კონცეფციაზე მუშაობა და ორიგინალურ ვერსიაში დამატებული ახალი ტერმინების თარგმნა.

2021 წელს მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროექტების კოორდინაციის მიზნით (ონლაინ ფორმატში) გაიმართა 2 საკოორდინაციო შეხვედრა. შეხვედრის შედეგად მსსკ-ის ვებგვერდზე განახლდა მიგრაციის პროექტების „მატრიცა“. 2021 წლის მონაცემებით, მიგრაციის სფეროში 16 მიმდინარე პროექტია, რომელსაც სახელმწიფო უწყებებთან პარტნიორობით საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ.

<u>განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიგრაციის სფეროში მიმდინარე პროექტების რაოდენობა ამოცანის შედეგის ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია ორით (14,3%-იანი ზრდა), რაც სამიზნე მაჩვენებლების (2025 წელი და 2030 წელი) შესრულების პროგრესზე მიუთითებს (იხ. დიაგრამა N 16).</u>

დიაგრამა N 16. 1.5. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი პირველი მიზნის მეექვსე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 1.6. ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიგრაციის სფეროში განხორციელებული რეფორმების მდგრადობის უზრუნველყოფა და გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1. სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის შესახებ ევროკომისიის ანგარიშებში საქართველოსთან მიმართებით წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი (1) აქტივობა განსაზღვრულ ვადებში სრულად არის შესრულებული.

მომზადდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში არსებული გრძელვადიანი ვალდებულების შესრულების ყოველწლიური ანგარიში, რომელიც 2021 წლის 12 მარტს ევროკომისიაში გაიგზავნა. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე, ამავე წლის 4 აგვისტოს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნდა მეოთხე ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო განაგრძობს უვიზო რეჟიმის წინაპირობებისა და ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას. ამასთან ანგარიშში საქართველოსთვის რამდენიმე დამატებითი რეკომენდაციაა მოცემული რიგ მნიშვნელოვან სფეროსთან დაკავშირებით.

<u>განხორციელებული საქმიანობის შედეგად, საანგარიშო წლისთვის ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციების 70% შესრულებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესრულების პროგრესი განსაზღვრული ვადების და სამიზნე მაჩვენებლების (2025 წელი და 2030 წელი) შესაბამისად მიმდინარეობს (იხ. დიაგრამა N 17).</u>

დიაგრამა N 17. 1.6. ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელი



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1-ლი სექტორული პრიორიტეტის ოთხი ამოცანის შედეგის ინდიკატორის შემთხვევაში აღინიშნება სამიზნე მაჩვენებლების რაოდენობრივი შესრულების პროგრესი, ხოლო შვიდ ინდიკატორთან მიმართებით საანგარიშო წელს რაოდენობრივი განხორციელების მაჩვენებელი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 18).

დიაგრამა N 18. I სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი

3.2.2. სექტორული პრიორიტეტი 2: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა

ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის პრიორიტეტი მოიცავს 9 ამოცანას, ამოცანის შედეგის 15 ინდიკატორს და 28 აქტივობას. აქტივობების უმრავლესობა (22) საანგარიშო წელს სრულად განხორციელდა, განსაზღვრულ ვადაში (21) ან დაგვიანებით (1). 4 აქტივობის შემთხვევაში სტატუსი მიმდინარეა: 3 აქტივობა მეტწილად შესრულდა, ხოლო 1 - ნაწილობრივ. აღსანიშნავია, რომ 1 აქტივობის შემთხვევაში განსაზღვრული ღონისძიებები არ დაწყებულა, ხოლო 1 აქტივობა შეჩერებულ იქნა (იხ. დიაგრამა N 19).

დიაგრამა N 19. აქტივობების განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.1. შრომითი მიგრაციის მართვის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

2.1.1 საქართველოში შრომითი მიგრაციის (ემიგრაცია/იმიგრაცია) მარეგულირებელი კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;

2.1.2 საქართველოში შექმნილია და ეფექტურად ფუნქციონირებს შრომითი მიგრაციის (ემიგრაცია/იმიგრაცია) მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულებისათვის საჭირო ორგანიზაციული სისტემა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 2 აქტივობა განსაზღვრულ ვადებში სრულად არის განხორციელებული, ხოლო დანარჩენი 2 აქტივობის შემთხვევაში - მეტწილად შესრულებული.

შრომითი მიგრაციის სფეროში მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების დახვეწის მიზნით, საანგარიშო წელს განხორციელდა სამართლებრივი აქტების ანალიზი, კერძოდ, მომზადდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შეფასების, ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების ამსახველი დოკუმენტები. ასევე, განხორციელდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების ეკონომიკაზე გავლენის შეფასების კვლევა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

ზემოხსენებული დოკუმენტებისა და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტი. დოკუმენტი შეთანხმდა რელევანტურ უწყებებთან და დაიგეგმა მისი განხილვა შესაბამისი სამუშაო

ჯგუფების ფარგლებში (დაინტერესებული მხარეების ჩართულობით). კანონპროექტის ინიციირება დაგეგმილია 2022 წლის დასაწყისში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეული საფუძველი შეიქმნა 2022 წელს შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად.

ასევე ინსტიტუციურად გაძლიერდა შრომითი მიგრაციის სფეროს რეგულირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფი ამ ეტაპზე დაკომპლექტდა მხოლოდ 12 პირით. COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ადამიანური რესურსის აყვანა ვერ განხორციელდა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულშიც, თუმცა აღნიშნული დაიგეგმა 2022 წლისთვის.

გარდა ამისა, საანგარიშო წელს ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა (ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორში სამუშაო ძალის და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის შესახებ), დამუშავდა და გაანალიზდა საქსტატის მიერ მოწოდებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემები და მომზადდა კვლევის ანგარიში, რომელიც აერთიანებს სამაგიდე, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით საკითხის შესწავლას. COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე 2021 წელს ვერ განხორციელდა კვლევის შედეგების ფართო აუდიტორიისათვის გაცნობა. შესაბამისად, კვლევის შედეგების პრეზენტაცია და ანგარიშის შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე გამოქვეყნება 2022 წლის პირველი კვარტალისთვის დაიგეგმა.

<u>2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 2.1. ამოცანის შედეგის 2.1.2. ინდიკატორის შემთხვევაში აღინიშნება შუალედური სამიზნე მაჩვენებლის (2022 წელი) რაოდენობრივი შესრულების პროგრესი (დაახლოებით 67%-ით), ხოლო ამოცანის შედეგის მეორე ინდიკატორთან (2.1.1.) მიმართებით საანგარიშო წლის ბოლოსთვის რაოდენობრივი შესრულების მაჩვენებელი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 20).</u>

დიაგრამა N 20. 2.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.2. საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) ხელშეწყობა და განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

2.2.1. საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) სფეროში შესაბამის პარტნიორ ქვეყნებთან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებისა ან/და საცდელი პროექტის ფარგლებში შეჯერებული სქემის რაოდენობა;

2.2.2. საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ქვეყანასთან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებების და/ან საცდელი პროექტის ფარგლებში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 3 აქტივობა განსაზღვრულ ვადებში სრულად არის განხორციელებული, ხოლო 1 აქტივობის შემთხვევაში - მეტწილად შესრულებული.

ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის დამყარების მიზნით, საანგარიშო წელს იდენტიფიცირებულ იქნა ახალი სახელმწიფოები. კვიპროსის მხარესთან ინიციირებულ იქნა ორმხრივი შეთანხმების გაფორმება, რაზეც მხარეებს შორის ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობდა. შედეგად, მხარეები შეთანხმების ტექსტის საბოლოო რედაქციაზე შეთანხმდნენ. ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა დაიგეგმა 2022 წლის პირველ ნახევარში.

საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) სფეროში შეთანხმების გაფორმების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ასევე მოლაპარაკება მიმდინარეობდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. 2021 წლის 30 ნოემბერს ბულგარეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ბულგარეთსა და საქართველოს შორის დროებითი ლეგალური დასაქმების კონკრეტული სქემის „საიმპლემენტაციო პროცედურების“ დოკუმენტს.

ასევე, ცირკულარული მიგრაციის საკითხი და თანამშრომლობის პერსპექტივები განხილულ იქნა 9 ევროპულ სახელმწიფოსთან (პორტუგალიასთან, ესპანეთთან, შვეიცარიასთან, კატართან, ბელგიასთან, სლოვაკეთთან, ესტონეთთან, დანიასთან, ავსტრიასთან).

აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წლის 30 სექტემბერს ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ისრაელის სახელმწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ“ ორმხრივ შეთანხმებას, რაც ამოცანის საბაზისო მაჩვენებელში ვერ მოხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) სფეროში პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი

შეთანხმებები არ გაფორმებულა, მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნა აღნიშნული მიმართულებით სამომავლო ღონისძიებებისთვის.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურ დასაქმებას, საანგარიშო პერიოდში გერმანიასთან და ისრაელთან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებების ფარგლებში, 2021 წელს გერმანიაში დასაქმდა საქართველოს 308 მოქალაქე, ხოლო ისრაელთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში დაიწყო არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების მსურველთა რეგისტრაცია. ამ ეტაპისთვის ისრაელის მხარეს მიეწოდა 100-ზე მეტი პირის სია, რომლებიც შეესაბამებოდნენ წინასწარ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ისრაელის მხარემ საბოლოოდ შეარჩია 60 მოქალაქე. პარალელურად გრძელდება დასაქმების მსურველთა რეგისტრაციის და შერჩევის პროცედურები.

COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, 2021 წელს გერმანული მხარის მიერ გაუქმდა ბევრი ვაკანსია, რის გამოც ვერ მოხერხდა სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობის ინდიკატორით გათვალისწინებული დასაქმებულთა რაოდენობის მიღწევა, ასევე ვერ მოხერხდა ისრაელთან გაფორმებული შეთანხმების განხორციელების დაწყებაც.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საანგარიშო პერიოდში საქართველოს 308 მოქალაქე დასაქმდა საზღვარგარეთ. აღნიშნული მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადების ჩამორჩენის შესამცირებლად აუცილებელია, გაფორმებული შეთანხმებების ფარგლებში მაქსიმალურად მოხდეს მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობა.

<u>2021 წელს განხორციელებული აქტივობების შედეგად 2.2. ამოცანის შედეგის 1-ლი ინდიკატორის შემთხვევაში აღინიშნება სამიზნე (2025 წელი და 2030 წელი) მაჩვენებლის შესრულების პროგრესი, ხოლო ამოცანის შედეგის მეორე ინდიკატორთან მიმართებით საანგარიშო წლის ბოლოსთვის სამიზნე მაჩვენებლის რაოდენობრივი შესრულება არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 21).</u>

დიაგრამა N 21. 2.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მესამე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.3. ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების თაობაზე მოსახლეობის, მათ შორის, ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

2.3.1. საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე შრომითი მიგრაციის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საზღვარგარეთ დასაქმების კანონიერი შესაძლებლობების შესახებ, ასევე არალეგალური მიგრაციის/დასაქმების რისკების თაობაზე;

2.3.2. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის საკითხებზე (მათ შორის, მიმოსვლის პირობების, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, რეჟიმის დარღვევის შესაძლო შედეგების შესახებ) მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი შვიდი აქტივობა განსაზღვრულ ვადებში სრულად არის განხორციელებული; ერთი აქტივობა განხორციელდა ვადაგადაცილებით.

ლეგალური მიგრაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა. შრომითი მიგრაციის სფეროში დანერგილი რეგულაციების და მექანიზმების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის (ადგილობრივი დამსაქმებლები, შრომითი მიგრაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და ა.შ.) ცნობიერების ასამაღლებლად, გაიმართა დაახლოებით 17 საინფორმაციო შეხვედრა (როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატში).

საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობების (პარტნიორ ქვეყანაში დასაქმების პირობებისა და პროცედურების, ვაკანსიების, დამსაქმებლის მოთხოვნების) შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, შექმნილია და ფუნქციონირებს საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების მსურველი საქართველოს მოქალაქეების სარეგისტრაციო ვებპორტალი - https://workabroad.moh.gov.ge/.

ასევე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალები (როგორც ბეჭდვითი, ასევე ვიდეო). დამზადებულია გერმანიაში დასაქმებასთან დაკავშირებით 10,000 ცალი ტრიპლეტი ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საანგარიშო წელს, ICMPD-ის მხარდაჭერით და ევროკავშირის დაფინანსებით, ჩატარდა კვლევა „COVID-19-ის პანდემიის გავლენა მიგრაციაზე, მობილობასა და ევროკავშირში უვიზო მიმოსვლაზე“. კვლევის მიზანი იყო უვიზო რეჟიმის მიმართ საქართველოს მოქალაქეების განწყობა/დამოკიდებულებების შესწავლა, COVID-19-ის პანდემიის პირობებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მყოფი მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარების შესახებ მოქალაქეების შეფასების დადგენა, სასურველი ინფორმაციისა თუ საკომუნიკაციო არხების

იდენტიფიცირება. აღნიშნული კვლევის საფუძველზე მომზადდა ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის საკითხებზე (მათ შორის, მიმოსვლის პირობების, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, რეჟიმის დარღვევის შესაძლო შედეგების შესახებ) მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით 2021 წელს განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ - ევროკავშირის და ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ, ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის მნიშვნელობის, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, მოგზაურობის პირობებისა და მისი ბოროტად გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ შეთანხმებული გზავნილების საფუძველზე, 2021 წლის აპრილი-ივნისის თვეში ჩატარდა 28 საინფორმაციო შეხვედრა;
- ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის საკითხებთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და ICMPD-ის მხარდაჭერით, ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის მე-5 წლისთავთან დაკავშირებით, 2022 წლის პირველ ნახევარში დაიგეგმა მოკლევადიანი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება. დეკემბრის თვეში მომზადდა საკომუნიკაციო აუდიტის პროექტის პირველადი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება და განხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები და ციფრული კამპანიები;
- ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მგზავრობის მიზნით, საქართველოდან გასვლის კანონმდებლობაში ცვლილებებთან დაკავშირებით ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ICMPD-სთან თანამშრომლობით, მომზადდა და სოციალური მედიით გავრცელდა ორი ვიდეორგოლი, რომელთა მიზანიცაა ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეთა ინფორმირება. ასევე მომზადდა და გავრცელდა სოციალური ქსელით 4 ინფოგრაფი. ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, IOM-ის ინიციატივით, 11 თებერვალს გაიმართა ონლაინსესია ფეისბუქით, საგარეო და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აგრეთვე, კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებით გაიმართა ვებინარი, გამყვანი ტურისტული სააგენტოების ასოციაციასთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 20-ზე მეტი ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებმა. ღონისძიებაზე მომხსენებლები იყვნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს და შსს-ს წარმომადგენლები;
- Schengen/EU მობილური აპლიკაციის განახლების მიზნით სატესტო რეჟიმში ამოქმედდა ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შესახებ მობილური აპლიკაცია EU Visa Free, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განახლდა. აპლიკაცია იძლევა უვიზო მიმოსვლის ფარგლებში მგზავრობის პირობებისა და წევრი ქვეყნის მიერ დაწესებული ინდივიდუალური რეგულაციების შესახებ უახლეს ინფორმაციას. მობილური აპლიკაციის და მისი

ფუნქციების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სოციალური რეკლამა გავიდა სხვადასხვა სატელევიზიო არხებით. აგრეთვე, ICMPD-ის მხარდაჭერით მომზადდა ორენოვანი საინფორმაციო ბროშურა (ქართულ და ინგლისურ ენაზე), რომელთა სხვადასხვა არხებით გავრცელება 2022 წელს იგეგმება, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ფეისბუქგვერდით გავრცელდა ინფოგრაფი აპლიკაციის შესახებ;

- ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის წესებისა და აღნიშნული სიკეთის მართლზომიერი გამოყენების მნიშვნელობაზე დისკუსია (ძირითადად, ონლაინრეჟიმში) გაიმართა 150-ზე მეტ შეხვედრაზე დამსწრე 3,234 მონაწილესთან.

მიუხედავად იმისა, რომ ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით არაერთი ღონისძიება განხორციელდა, საანგარიშო წელს არ ჩატარებულა კვლევა, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის შესასწავლად. შესაბამისად, ვერ გაიზომა პროგრესი აღნიშნული ამოცანის სამიზნე მაჩვენებლების მიმართ (იხ. დიაგრამა N 22).

დიაგრამა N 22. 2.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მეოთხე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.4. სახელმწიფო ინტერესებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს სავიზო და ბინადრობის პოლიტიკის დახვეწა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.4.1. სავიზო და ბინადრობის პოლიტიკის განმსაზღვრელი სამართლებრივი რეგულაციები შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 1 აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა, რაც გამოწვეულია COVID-19-ის პანდემიით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი, სავიზო პოლიტიკის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი დახვეწის მიზნით, მუშაობდა საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებასა და წინადადებების/საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებაზე. მოძიებულ იქნა დონორი ორგანიზაცია, რომლის მხარდაჭერითაც მოხდა შესაბამისი დარგის სპეციალისტების დაქირავება. ექსპერტებთან ერთად მომზადდა სამართლებრივი აქტების პროექტები და ჩართული მხარეების მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა შემუშავებული საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვას საქართველოს ვიზის მისაღებად ბიომეტრიული მონაცემების ჩაბარების საკითხზე. COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირებამ 2022 წლისთვის გადაიწია.

2021 წლის ბოლოსთვის 2.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით მაჩვენებელი არ ფიქსირდება და შესაბამისად, პროგრესი გაიზომება საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების ინიცირების შემდეგ. საყურადღებოა, რომ მოცემული ამოცანის შედეგის ინდიკატორის შუალედური მაჩვენებლის მიღწევის ვადად განსაზღვრულია 2022 წელი (იხ. დიაგრამა N 23).

დიაგრამა N 23. 2.4. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მეხუთე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.5. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.5.1. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებული უცხოელი სტუდენტების და ამავე დაწესებულებებში მომუშავე უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 1 აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა.

პოტენციური უცხოელი სტუდენტებისათვის ქართული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით, 5 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამმა უნივერსიტეტმა: 1) სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა; 2) საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა; 3) შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა.

გარდა ამისა, COVID-19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო დაგეგმილ საერთაშორისო აქტივობებში. მათი ნაწილი მონაწილეობდა ონლაინფორმატში გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში.

2021 წლის ბოლოს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფიქსირდება 9,244 უცხოელი კურსდამთავრებული და 135 უცხოელი პროფესორ-მასწავლებელი. შესაბამისად, საანგარიშო წლისთვის საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, უცხოელი კურსდამთავრებულების რაოდენობა გაზრდილია 44,1%-ით, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობა შემცირებულია 12,3%-ით. 2.5. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შუალედური (2025 წელი) და საბოლოო (2030 წელი) სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყების მიერ შესაბამისი ღონისძიებების დროულად დაგეგმვა და განხორციელება (იხ. დიაგრამა N 24).

დიაგრამა N 24. 2.5. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მეექვსე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.6. საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.6.1. იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც საქართველოს ორდინალური პასპორტის მქონე მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ გადაადგილება

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ორივე აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საანგარიშო წელს ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და ფიჯის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორდინალური პასპორტის მფლობელთა ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ შეთანხმება. ასევე, ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა „საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკას შორის ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ შეთანხმება.

ამასთან, საქართველოს მოქალაქის ორდინალური პასპორტების მფლობელებისათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების ინიციირების კუთხით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობდა უვიზო მიმოსვლის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტებზე 5 ქვეყანასთან, კერძოდ, სომხეთთან (ელექტრონული პირადობის მოწმობით მიმოსვლა), სენტ-ლუჩიასთან, არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, პერუსთან, დომინიკის თანამეგობრობასთან.

<u>2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ორდინალური პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს დამატებით 2 ქვეყანაში შეუძლიათ უვიზოდ გადაადგილება (ჯამში: 67 ქვეყანაში). განხორციელების პროცესი მიუთითებს, რომ პროგრესი დაგეგმილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობს და პასუხისმგებელი უწყება ახლოსაა შუალედური (2025 წელი) და საბოლოო (2030 წელი) მაჩვენებლის მიღწევასთან (იხ. დიაგრამა N 25).</u>

დიაგრამა N 25. 2.6. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მეშვიდე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.7. საკონსულო სერვისების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

2.7.1. საზღვარგარეთ საქართველოს იმ მისიების რაოდენობა, სადაც ხორციელდება საკონსულო საქმიანობა;

2.7.2. საქართველოს გარე მომსახურების სავიზო ცენტრების რაოდენობა;

2.7.3. საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის (GeoConsul) განახლებების/ახალი ფუნქციონალების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 2 აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა, ხოლო 1 აქტივობა შეჩერებულ იქნა.

საკონსულო სერვისების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვის მიზნით, რეგულარულად მიმდინარეობს საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოება. 2021 წელს დაინიშნა 12 ახალი საპატიო კონსული (ირლანდიაში, ავსტრიაში, ჩრდილოეთ მაკედონიაში, ლიბანში, იტალიაში, მავრიტანიაში, სლოვენიაში, პაკისტანში, ახალ ზელანდიაში, ბოლივიაში, ინდოეთში, აშშ-ში) და გაიხსნა ერთი ახალი გენერალური საკონსულო (გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტში).

ამასთან, სავიზო პოლიტიკის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი დახვეწის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობდა საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებასა და წინადადებების/საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადებაზე. ელექტრონული ვიზის აპლიკაციის დამუშავების, ვიზის გაცემის პროცედურების დახვეწის და უსაფრთხოების მიზნით, 2021 წელს დაგეგმილი იყო კომპანია „VFS Global“-თან ხელშეკრულების გაფორმება, თუმცა აღნიშნული საკითხის განხილვა შეჩერდა სავიზო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებამდე.

საანგარიშო წელს განახლდა საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემა (1), კერძოდ, სისტემას დაემატა 7 ახალი მოდული და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციონალები, რამაც უფრო ეფექტიანი გახადა განაცხადების მიღებისა და დამუშავების პროცესი.

<u>2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 2.7 ამოცანის შედეგის ორ ინდიკატორთან მიმართებით (2.7.1 და 2.7.3) შესრულების მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროგრესი დაგეგმილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობს და პასუხისმგებელი უწყება ახლოსაა შუალედური და საბოლოო მაჩვენებლის მიღწევასთან. საანგარიშო პერიოდისთვის რაოდენობრივი მაჩვენებელი არ არის მხოლოდ ამოცანის შედეგის 2.7.2 ინდიკატორის შემთხვევაში (იხ. დიაგრამა N 26).</u>

დიაგრამა N 26. 2.7. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მერვე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.8. მზადყოფნის გაუმჯობესება საზღვარგარეთ შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედოდ

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.8.1. საზღვარგარეთ საქართველოს იმ მისიების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ რეგულარულად განახლებადი, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების სახელმძღვანელო

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო ერთი აქტივობის განხორციელება, რომელიც განსაზღვრულ ვადაში სრულად შესრულდა.

კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების სახელმძღვანელო მომზადდა საზღვარგარეთ საქართველოს 53 მისიის მიერ.

<u>შედეგად, 2021 წლის მდგომარეობით, აღნიშნული სახელმძღვანელო შედგენილი აქვს მისიათა 76%-ს, რაც მიუთითებს, რომ ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროცესი განსაზღვრული ვადის მიხედვით ხორციელდება (იხ. დიაგრამა N 27).</u>

დიაგრამა N 27. 2.8. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეორე მიზნის მეცხრე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 2.9. ლეგალური მიგრაციის საკითხებზე მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

2.9.1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა;

2.9.2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი სამი აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად შესრულდა. COVID-19-ის პანდემიის გამო ღონისძიებების განხორციელება არ დაწყებულა 1 აქტივობასთან მიმართებით.

ლეგალური მიგრაციის საკითხებზე მომუშავე ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, საანგარიშო წელს ჩატარდა სხვადასხვა სახის აქტივობები:

- მიმდინარე საკანონმდებლო და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ საკონსულო თანამდებობის პირთა ინფორმირების მიზნით ჩატარდა 4 ტრენინგი და 1 საკოორდინაციო შეხვედრა და გადამზადდა 130 თანამშრომელი;
- ბინადრობის ნებართვის საკითხებზე მომუშავე სსგს-ს თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციებთან (ICMPD, UNHCR) თანამშრომლობით, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის, თავშესაფრის სისტემის, ბინადრობის და თანამემამულის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, ჩატარდა 9 ტრენინგი და გადამზადდა სსგს-ს ტერიტორიული სამსახურების 21, ხოლო იუსტიციის სახლების და საზოგადოებრივი ცენტრების 136 თანამშრომელი, 32 საკონსულო თანამდებობის პირი (სულ - 189 პირი).

ამასთან, COVID-19-ის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ტრენინგი სსგს-ს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის თანამშრომელთათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის საკითხებზე, რომლის ჩატარებაც 2022 წლისთვის გადაიდო.

<u>2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 2.9 ამოცანის შედეგის ინდიკატორების მიღწევის პროცესი განსაზღვრული ვადის მიხედვით ხორციელდება. შედეგად, ამოცანის შედეგის ორივე ინდიკატორთან მიმართებით შესრულების მაჩვენებელი/პროგრესი ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 28).</u>

დიაგრამა N 28. *2.9. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი*



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მე-2 სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ცხრა ინდიკატორის შემთხვევაში შესრულების პროგრესი აღინიშნება. მიუხედავად განხორციელებული სამუშაოებისა, ამოცანის შედეგის ექვს ინდიკატორთან მიმართებით საანგარიშო წელს შესრულების მაჩვენებელი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 29).

დიაგრამა N 29. II სექტორული პრიორიტეტის ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი

3.2.3. სექტორული პრიორიტეტი 3. არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა

სხვა სექტორულ პრიორიტეტებთან შედარებით, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სექტორული პრიორიტეტი მოიცავს ყველაზე ბევრ, 12 ამოცანას, ამოცანის შედეგის 20 ინდიკატორს და 33 აქტივობას. 2021 წელს განხორციელებული პროგრესის შედეგად, 21 აქტივობის შემთხვევაში დაგეგმილი ღონისძიებები სრულად განხორციელდა. 11 აქტივობის შემთხვევაში პროგრესი მიმდინარეა: 4 აქტივობა მეტწილად შესრულდა, ხოლო 7 აქტივობა - ნაწილობრივ. COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, ერთი აქტივობის შემთხვევაში ღონისძიებების განხორციელება საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა (იხ. დიაგრამა N 30).

დიაგრამა N 30. აქტივობების განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში

დეტალური პროგრესი მესამე მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.1. უკანონო მიგრაციის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

3.1.1. გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობა;

3.1.2. FRONTEX-ის ეგიდით განხორციელებული ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა;

3.1.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულების და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნის ვადები.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ოთხი აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად შესრულდა. COVID-19-ის პანდემიის გამო განხორციელების დონე შეფერხდა და ნაწილობრივ შესრულდა 1 აქტივობა.

შსს აქტიურად მუშაობდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მესამე ქვეყნებთან უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის საკითხებზე თანამშრომლობის შეთანხმებების გაფორმებაზე. საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა 1 შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით კი საანგარიშო პერიოდში 3 ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა პარტნიორ ქვეყნებთან. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში FRONTEX-თან ხელი მოეწერა ოპერაციული თანამშრომლობის შესახებ სამუშაო შეთანხმებას. განხორციელებული ღონისძიებების შედეგი (1 შეთანხმება, 3 მემორანდუმი, 1 სამუშაო შეთანხმება) მიუთითებს,

რომ ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელთან მიმართებით პროგრესი განსაზღვრული ვადების და მაჩვენებლების შესაბამისად მიმდინარეობს.

შსს ასევე აქტიურად იყო ჩართული საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს (FRONTEX) ორგანიზებით განხორციელებულ დაბრუნების ერთობლივ ოპერაციებში. საანგარიშო წელს შსს-მ მონაწილეობა მიიღო FRONTEX-ის ეგიდით განხორციელებულ 21 ერთობლივ ოპერაციაში და 2 სამუშაო შეხვედრაში (ბულგარეთსა და პოლონეთში). შსს-ს წარმომადგენლები, ასევე, დაესწრნენ FRONTEX-ის ეგიდით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რისკის ანალიზის პლატფორმის ფარგლებში გამართულ 2 შეხვედრას, რომელიც მიზნად ისახავდა რისკის ანალიზის საკითხებზე საქმიანობის საერთო კოორდინაციას. საანგარიშო პერიოდში FRONTEX-თან განხორციელებული წარმატებული თანამშრომლობის შედეგები წინაპირობაა იმისა, რომ ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების სრულად შესრულება იქნეს ნავარაუდები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის დროული და ეფექტიანი სამართლებრივი ურთიერთდახმარება. 2021 წელს საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულების საშუალო პერიოდი 2020 წლის მონაცემთან შედარებით (4 თვე) გაუმჯობესებულია და შეადგინა 31 დღე (შემოვიდა 4 შუამდგომლობა), ხოლო საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნის საშუალო პერიოდი 2021 წელს 7 დღე იყო (2020 წელს - 45 დღე).

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 3.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე (2025 წელი და 2030 წელი) მაჩვენებლების მიღწევის პროცესი განსაზღვრული ვადის მიხედვით ხორციელდება. შედეგად, ამოცანის შედეგის სამივე ინდიკატორთან მიმართებით შესრულების პროგრესი ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 31).

დიაგრამა N 31. 3.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.2. უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ეფექტიანი იმპლემენტაცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

3.2.1. სარეადმისიო განაცხადებზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი;

3.2.2. რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემის (RCMES) განახლებების/ახალი ფუნქციონალების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 2 აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად შესრულდა. COVID-19-ის პანდემიის გამო ღონისძიებები არ განხორციელებულა 1 აქტივობასთან მიმართებით.

საქართველოს მიერ გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულებების ფარგლებში, 2021 წელს შსს-მ 2,547 პირის რეადმისიის განაცხადი განიხილა. აქედან დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2,504 პირზე, ხოლო უარყოფითი - 43 პირზე. დადებითი გადაწყვეტილებების წილი შეადგენს განხილული განაცხადების საერთო რაოდენობის 98,3%-ს.

ამასთან, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის ფარგლებში, 2021 წლის 9 ნოემბერს ჩატარდა საქართველო-ევროკავშირის რეადმისიის ერთობლივი კომიტეტის სხდომა.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებთან ორმხრივი საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმების მიმართულებით, საიმპლემენტაციო ოქმის პროექტები მზად არის ხელმოსაწერად პოლონეთთან და ლატვიასთან, ამასთან საიმპლემენტაციო ოქმები მოლაპარაკებების პროცესშია ესპანეთთან, პორტუგალიასთან, მალტასთან, საბერძნეთთან. აქტივობის განხორციელება (მოლაპარაკების წარმოება, ოქმების ხელმოწერა) შეფერხდა COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე.

საანგარიშო წელს RCMES-ში ინტენსიურად ამუშავდა ორი ახალი მოდული/ფუნქციონალი:

1. „დაბრუნების შეტყობინების“ მოდული - სისტემაში ჩართული პარტნიორი ქვეყნის უწყებას შესაძლებლობა აქვს, ქართულ მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია დეპორტირებული პირების შესახებ. აღნიშნული საქართველოს აძლევს სისტემაში ჩართული ქვეყნებიდან იძულებით დაბრუნებულ პირთა შესახებ სრული მონაცემების ფლობის საშუალებას;

2. „ნებაყოფლობითი დაბრუნების“ მოდული - საქართველოს მოქალაქის საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნების სხვადასხვა პროგრამის განმახორციელებელ უცხო ქვეყნის შესაბამის ორგანოებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მიეცათ

საქართველოში დასაბრუნებელი ელექტრონული მოწმობის გამოთხოვის/მიღების სამართლებრივი საშუალება, რეადმისიის ხელშეკრულების/პროცესისგან დამოუკიდებლად[8]. აღნიშნული მოდული შემუშავდა სხვადასხვა პროგრამის ეფექტურად ადმინისტრირების მიზნით.

RCMES-ში ახალი სახელმწიფოების ჩართვის წახალისების და მესამე ქვეყნებთან მისი პოპულარიზაციის მიზნით, 12 სამუშაო შეხვედრა გაიმართა შვედეთის, ნიდერლანდების, ჩეხეთის, ავსტრიის, ნორვეგიის, ესპანეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, გერმანიის და ფინეთის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლებთან.

<u>2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 3.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე (2025 წელი და 2030 წელი) მაჩვენებლების მიღწევის პროცესი განსაზღვრული ვადის მიხედვით ხორციელდება და ამოცანის შედეგის ორივე ინდიკატორთან მიმართებით შესრულების პროგრესი ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 32).</u>

დიაგრამა N 32. 3.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მესამე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.3. კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა გაძევების მექანიზმების შემდგომი განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები 3.3.1. აღსრულებული გაძევების გადაწყვეტილებების პროცენტული წილი

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 2 აქტივობა განსაზღვრულ ვადაში, სრულად განხორციელდა.

[8] აღნიშნული განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ივნისის №426 დადგენილებაში შესული ცვლილებების საფუძველზე.

უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიზნით საანგარიშო წელს მომზადდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 6 ივნისის № 231 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი. ასევე, 2021 წლის მარტში ცვლილება შევიდა „უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №631 ბრძანებაში.

2021 წელს შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული პირების გარე სივრცეში ყოფნის უზრუნველყოფის მიზნით, მოეწყო სასეირნო სივრცე და ბავშვთა სათამაშო მოედანი, ასევე, ცენტრში მოთავსებული უცხოელებისთვის მოეწყო საკარანტინო სივრცე.

<u>განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, საანგარიშო წელს აღსრულდა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გამოტანილი 77 გადაწყვეტილება, რაც 2021 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების 64%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა N 33).</u>

დიაგრამა N 33. 3.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეოთხე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მექანიზმების დახვეწა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე დაწყებული გამოძიებებიდან იმ საქმეების პროცენტული წილი, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი სამივე აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად შესრულდა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფები და სპეციალისტების ჯგუფი (Task Force) მუდმივად პროაქტიულად ამოწმებს ტრეფიკინგის მაღალი რისკის შემცველ ადგილებს და გამოკითხვას უტარებს დასაქმებულ პირებს ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 151 დაწესებულება, ხოლო გამოიკითხა 561 ადამიანი.

შემოწმების ფარგლებში მობილური ჯგუფისა და Task Force-ის წევრები აქტიურად არიგებდნენ საინფორმაციო ხასიათის ბროშურებს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებების და სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული სერვისების შესახებ.

შრომის ინსპექციის სამსახურსა და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენის, რეფერირებისა და დროული რეაგირების მიზნით, შრომის ინსპექციის სამსახურმა სულ შეამოწმა 142 დაწესებულება. შემოწმების შედეგად შსს-ში გადამისამართდა იძულებითი შრომის 2 სავარაუდო შემთხვევა. გადამისამართების საფუძველზე შსს-მ დაიწყო გამოძიება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო ფაქტზე.

საანგარიშო წელს, ტრეფიკინგის საქმეების გამოვლენისა და მსხვერპლთან/ დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, გამომძიებლების, პროკურორების და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგები. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ტრენინგი გაიარა 18-მა გამომძიებელმა (მათ შორის 2 არის Task Force-ის წევრი) და 11-მა პროკურორმა (მათ შორის 4 Task Force-ის წევრია).

<u>2021 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] და 143[2] მუხლებით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 19 საქმეზე. აღნიშნული საქმეებიდან 4 (21%) საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. დიაგრამა N 34).</u>

დიაგრამა N 34. 3.4. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეხუთე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.5.1. საზოგადოების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა, ვინც ინფორმირებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ერთი აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა. COVID-19-ის პანდემიის გამო ღონისძიებების განხორციელება შეფერხდა (მეტწილად შესრულდა) ერთ აქტივობასთან მიმართებით.

ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციის მიზნით ფართო საზოგადოების სამიზნე ჯგუფებთან, ჩატარდა ცნობიერების ამაღლების შვიდი ღონისძიება (ზუგდიდის, წალენჯიხის, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლებში მოსახლეობასთან, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებთან, სტუდენტებთან), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა პირმა. შეხვედრებზე მიმოიხილეს ძალადობის, მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო სერვისები და პრევენციის მექანიზმი.

ამასთან, ქვეყანაში COVID-19-ის გამო შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სახელმწიფო უწყებები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, აქტიურად ჩაეტარებინათ საინფორმაციო შეხვედრები.

ტრეფიკინგის საფრთხეებისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელების მიმართულებით, სასაზღვრო-გამტარ პუნქტებსა და შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტში გავრცელდა 4,687 საინფორმაციო ბროშურა.

<u>3.5. ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა უნდა შეფასდეს კვლევით, რომლის ჩატარებაც 2022 წლისთვის იგეგმება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების პროგრესის გაზომვა არ არის შესაძლებელი (იხ. დიაგრამა N 35).</u>

დიაგრამა N 35. 3.4. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეექვსე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.6. სახელწიფო საზღვრის ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

3.6.1. განახლებული/დამატებითი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასაზღვრო გამტარი პუნქტების პროცენტული რაოდენობა;

3.6.2. სასაზღვრო ინციდენტების აღმოჩენისა და მათზე რეაგირების საშუალებებით აღჭურვილი სასაზღვრო სექტორების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ორი აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა. მესამე აქტივობის შემთხვევაში, ღონისძიებები ნაწილობრივ შესრულდა.

2021 წელს დონორი ორგანიზაციების და პარტნიორი სახელმწიფოების ფინანსური მხარდაჭერით განახლდა შსს-ს სგპ-ების აღჭურვილობა, კერძოდ:

- დოკუმენტების ინსპექტირების ხელსაწყოები (300 გამადიდებელი შუშა და 300 ულტრაიისფერი განათების ხელსაწყო) - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონული უსაფრთხოების ოფისი;
- რადიაციული ფონის შესამოწმებელი ხუთი ხელსაწყო - აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების ადმინისტრაცია;
- წინასწარი შემოწმების პროცედურებისათვის გამოყენების მიზნით საპასპორტო კონტროლის პირველადი ინსპექტირებისათვის საჭირო 50 ულტრაიისფერი ნათურა და კომპიუტერული ტექნიკა - პროექტი „პრომეთეუსი"; ორგანიზაცია CIVIPOL და ICMPD;
- პასპორტის წამკითხველები (38) - IOM.

გადაცემული საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკა საჭიროებისამებრ გადანაწილდა ყველა სგპ-ზე. აღსანიშნავია, რომ ამ კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებული არ იყო 2021 წლის სამოქმედო გეგმით და შესაძლებელია ჩაითვალოს წარმატებულ ღონისძიებად. შედეგად, ტექნიკური საშუალებებით განახლებულია სგპ-ის 100%.

სგპ-ების აღჭურვის პარალელურად, 2021 წელს ვითარდებოდა სასაზღვრო სექტორების ტექნიკური შესაძლებლობები. საანგარიშო პერიოდში 33 სასაზღვრო სექტორი აღიჭურვა ინციდენტების აღმოჩენის ტექნიკით, ინციდენტებზე რეაგირების საშუალებებითა და პირადი ეკიპირებით. აქედან:

1. აშშ-ის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით, ინციდენტის აღმოჩენის საშუალებებით აღიჭურვა 6 სასაზღვრო სექტორი;

2. სასაზღვრო სექტორების სასაზღვრო ინციდენტებზე რეაგირების მიზნით, სატრანსპორტო საშუალებით აღიჭურვა 31 სასაზღვრო სექტორი;
3. სამი სასაზღვრო სექტორის პირადი შემადგენლობა აღიჭურვა პირადი ეკიპირებით, ხოლო დანარჩენი სექტორების აღჭურვა შეფერხდა შესყიდვის პროცედურების გახანგრძლივების გამო.

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 3.6 ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი დამაკმაყოფილებელია (იხ. დიაგრამა N 36).

დიაგრამა N 36. 3.6. ამოცანის ინდიკატორის განხორციელების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეშვიდე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.7. სასაზღვრო უსაფრთხოების სფეროს ინფორმაციის მართვის გაციფრულება და საინფორმაციო-ტექნოლოგიური პლატფორმის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

3.7.1. საინფორმაციო სისტემის განვითარების მაჩვენებელი, რომლის მეშვეობით სასაზღვრო დანაყოფების მიერ არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის და მონაცემების ციფრულ ფორმატში რეგისტრაცია ხორციელდება;

3.7.2. უსაფრთხოების სფეროს შესაბამისი სამსახურების მიერ არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის და მონაცემების სტატისტიკური დამუშავების (ციფრულ ფორმატში) მიზნით შექმნილი, საინფორმაციო სისტემის განვითარების მაჩვენებელი.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ორივე აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა.

ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (ოტს)

წარმომადგენლებმა შეიმუშავეს და შექმნეს სასაზღვრო ოპერაციების მოხსენების სისტემის (BORS) IV მოდული - საზღვაო ნავიგაციის სიტუაციური მონიტორინგის მოდული.

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) თანამშრომლები მიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვას (რეგისტრაცია, დამუშავება, ანალიზი) ახორციელებენ ციფრულ ფორმატში, რაც საგრძნობლად ამარტივებს და ეფექტურს ხდის ცენტრის მუშაობას. ციფრულ ფორმატში ხორციელდება ინფორმაციის რეგისტრაცია, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და საზღვაო სიტუაციის ერთობლივი სურათის შექმნა. მომხმარებლის (ანალიტიკოსის) მოთხოვნის შესაბამისად, სისტემა განახორციელებს სტატისტიკური მონაცემების გენერირებას სხვადასხვა ინდიკატორისა და კრიტერიუმის შესაბამისად.

საანგარიშო წელს ოტს-ს წარმომადგენლებმა JMOC-ში შემავალი უწყებების თანამშრომლებისთვის ჩაატარეს 4 ტრენინგი BORS-ის IV მოდულის მოხმარების თაობაზე. სწავლება გაიარა 35-მა თანამშრომელმა.

ამოცანის შედეგის ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი დამაკმაყოფილებელია (იხ. დიაგრამა N 37).

დიაგრამა N 37. 3.7. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მერვე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.8. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო და საზღვაო მონაკვეთებზე ელექტრონული დაკვირვების შესაძლებლობების გაძლიერება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.8.1. სასაზღვრო დანაყოფების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ელექტრონული დაკვირვების საშუალებებით უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებენ სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო ზოლის და სასაზღვრო ზონას და ავლენენ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტებს

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ერთი აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა. მეორე აქტივობის შემთხვევაში, ღონისძიებები ნაწილობრივ შესრულდა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთებზე ელექტრონული დაკვირვების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ, მაღალი გამავლობის 2 ავტომანქანაზე მოაწყო მობილური დაკვირვების სისტემა და სარგებლობაში გადასცა შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას.

საანგარიშო წელს, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის 2 სექტორზე ელექტრონული დაკვირვების სისტემის მოწყობის მიზნით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, IOM-მა შეისყიდა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა. 2021 წლის ბოლოსთვის დაიწყო სისტემის მოწყობის საინჟინრო სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2022 წლის განმავლობაში.

<u>2021 წლის ბოლოსთვის 3.8 ამოცანის შედეგის არცერთ ინდიკატორზე შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღინიშნება, თუმცა საანგარიშო წელს განხორციელებულმა ღონისძიებებმა გარკვეული საფუძველი შექმნა სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრულ ვადებში მიღწევის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა N 38).</u>

დიაგრამა N 38. 3.8 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეცხრე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.9. არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სასაზღვრო უსაფრთხოების დანაყოფებისთვის მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარება.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.9.1. სასაზღვრო დანაყოფების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც საკომუნიკაციო ქსელის საშუალებით შეუფერხებლად ახორციელებენ მაღალი მოცულობის ინფორმაციის და მონაცემების გაზიარებას, აგრეთვე, შესაბამის მონაცემთა ბაზებთან წვდომას.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ერთი აქტივობა განსაზღვრულ ვადაში სრულად განხორციელდა. მეორე აქტივობის შემთხვევაში, ღონისძიებები მეტწილად შესრულდა.

პრიორიტეტის შესაბამისად, განისაზღვრა საკომუნიკაციო ქსელში ჩასართავი შსს-ს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დანაყოფები. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოში და ამავე სამმართველოს N7 სექტორზე განხორციელდა მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის მოწყობა/ინსტალაცია. ქსელის ჩართვის პროცედურები დასრულდება 2022 წლის განმავლობაში.

2021 წლის ბოლოსთვის 3.9 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღინიშნება, თუმცა განხორციელებულმა ღონისძიებებმა გარკვეული საფუძველი შექმნა სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრულ ვადებში მიღწევის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა N 39).

დიაგრამა N 39. 3.9 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეათე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.10. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო-სადემარკაციო სამუშაოების გაგრძელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

3.10.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხებზე გამართული კომისიებისა და შეხვედრების რაოდენობა;

3.10.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის საკითხებზე გამართული კომისიებისა და შეხვედრების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში ოფიციალური შეხვედრა არ შემდგარა, თუმცა სამუშაო რეჟიმში მიმდინარეობდა აღნიშნული საკითხების განხილვა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

<u>2021 წლის ბოლოსთვის 3.10 ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან (2) მიმართებაში განხორციელების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღინიშნება (იხ. დიაგრამა N 40).</u>

დიაგრამა N 40. 3.10. ამოცანის შედეგის ინდიკატორის განხორციელების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეთერთმეტე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.11. დოკუმენტების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

3.11.1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში არსებული ბიზნესპროცესების რაოდენობა, რომლებზეც სააგენტოს აღებული აქვს ISO 27001 საერთაშორისო სერტიფიკატი (Information Security Management);

3.11.2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ბიზნესპროცესების რაოდენობა, რომელშიც გამოიყენება თითის ანაბეჭდების შედარების სისტემა;

3.11.3. მატერიალური ფორმის სამოქალაქო აქტის ჩანაწერების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ასახვის პროცენტული მაჩვენებელი.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი მხოლოდ ერთი აქტივობა სრულად, 2 აქტივობა - მეტწილად, ხოლო 1 აქტივობა - ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო წელს, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISO 27001) საერთაშორისო სერტიფიკატის მიღების მიზნით, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. 2021 წლის განმავლობაში ინფორმაციული უსაფრთხოების ონლაინტრენინგი გაიარა და ტესტი წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 771-მა თანამშრომელმა;
2. სსგს-ში ჩატარდა ფიშინგის 2 სიმულაცია;
3. განახლდა რისკების რეესტრი, რისკებთან მოპყრობის რეკომენდაციები დადასტურებულია ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს მიერ;
4. უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრის (SOC) შექმნის ფარგლებში შეიქმნა და ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოზე დამტკიცდა ორი დოკუმენტი: SOC-ის დებულება, კიბერუსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების გეგმები. ასევე, SOC-ის შექმნის ფარგლებში, შეიქმნა დამატებით ორი დოკუმენტი, რომლებიც განიხილება ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოზე: მონაცემთა გაჟონვის პრევენციის სისტემის (DLP) მართვის წესი, ლოგების მართვის სისტემის (SIEM) წესი. ამასთან, განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით სსგს-ში არსებული ყველა დოკუმენტი.

საანგარიშო წელს, დოკუმენტების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით, IOM-თან თანამშრომლობის შედეგად, უცხოელი ექსპერტის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16 თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი დოკუმენტის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ტრენერებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სააგენტოს სხვა თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებას, ხოლო რაც შეეხება დაგეგმილ სსგს-ს, იუსტიციის სახლის და საზოგადოებრივი ცენტრების მინიმუმ 100 თანამშრომლის გადამზადების საკითხს, აღნიშნულზე გავლენა იქონია COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიურმა სიტუაციამ და ტრენინგის ჩატარებისათვის მობილობის გაზრდის გამო ვირუსის გავრცელების რისკმა. ვინაიდან ტრენინგის შინაარსიდან და ფორმატიდან გამომდინარე არაეფექტური იქნებოდა მისი დისტანციურად ჩატარება, დანარჩენი თანამშრომლები არ გადამზადებულან.

საანგარიშო წელს განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნული ღია გასაღების დირექტორიის (ICAO NPKD) პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და დანერგვა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში. მწარმოებლის მხარდაჭერით განხორციელდა სააგენტოს ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ღია გასაღების დირექტორიაში (ICAO PKD) სატესტო გარემოსთან და სატესტო სერტიფიკატების გაცვლა, ხოლო ქვეყნის (საქართველოს) ხელმომწერი სერტიფიკატის გამცემი ორგანოს ძირითადი სერტიფიკატის (GEO Country signing CA) განთავსება ICAO PKD-ს სისტემაში ვერ მოხერხდა, რადგან საჭიროებდა ICAO-ს ცენტრალურ ოფისში ვიზიტს. მსოფლიოსა და საქართველოში COVID-19-ის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვიზიტი დაიგეგმა 2022 წელს.

საანგარიშო წელს სსგს-ს „სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაციის“ ათწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, პროექტის ჯგუფის მიერ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში გაციფრულდა შვიდი სახის 985,740 აქტის ჩანაწერი (დაგეგმილი 1,000,000 აქტიდან). სამოქალაქო აქტების

დიგიტალიზაციის 2021 წლის გეგმის სრულად ვერშესრულება დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან (დიგიტალიზაციის პროცესი ვერ ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში მუშაობით).

2021 წლის ბოლოსთვის 3.11 ამოცანის შედეგის ორ ინდიკატორზე შესრულების რაოდენობრივი მაჩვენებელი არ აღინიშნება, თუმცა განხორციელებულმა ღონისძიებებმა გარკვეული საფუძველი შექმნა სამიზნე (2025 წელი და 2030 წელი) მაჩვენებლების განსაზღვრულ ვადებში მიღწევის თვალსაზრისით. რაც შეეხება ამოცანის შედეგის მესამე ინდიკატორის მაჩვენებელს, იგი 69,9%-ით შესრულდა (იხ. დიაგრამა N 41).

დიაგრამა N 41. 3.11 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მესამე მიზნის მეთორმეტე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 3.12. უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაბამის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.12.1. უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომზადებულ/გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი ორი აქტივობა განხორციელდა სრულად, ხოლო 1 აქტივობა - მხოლოდ ნაწილობრივ.

საანგარიშო წელს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომზადდა/გადამზადდა შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის 785 თანამშრომელი.

შსს-ს (ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის და

ტურისტული პოლიციის) თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით, კულტურებს შორის კომუნიკაციის თემებზე IOM-ის მხარდაჭერით ჩატარდა 4 ტრენინგი და გადამზადდა შსს-ს შესაბამისი დანაყოფების 114 თანამშრომელი.

ასევე, საანგარიშო წელს უკანონო მიგრაციის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მოსამართლეთა გადამზადების კუთხით იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ჩაატარა 1 ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, რომელსაც დაესწრო 13 მონაწილე (6 მოსამართლე; 7 სასამართლო მოხელე). აღნიშნული ტრენინგის განმეორებით ჩატარება და მოსამართლეთა სავალდებულო რაოდენობის (15 მოსამართლე) გადამზადება, ძირითადად, პანდემიური მდგომარეობით გამოწვეული პრობლემების გამო ვერ მოხერხდა. რაც შეეხება მიგრაციის საკითხებზე მოსამართლეთა სავალდებულო რაოდენობის მომზადებას, ამ მიმართულებითაც, პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო შეზღუდვებიდან გამომდინარე (რაც გულისხმობდა საკლასო ტრენინგებიდან ონლაინ სწავლებაზე გადასვლას), იუსტიციის უმაღლეს სკოლას მოუწია ტრენინგების კალენდრის მოდიფიცირება. შესაბამისად, ვერ მოხერხდა უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული ტრენინგის ახალი მოდულის შემუშავება, გადამზადებული ტრენერებისა და შესაბამისი დაფინანსების მოპოვება. აღნიშნული მიმართულებით აქტივობების განხორციელება 2022 წელს იგეგმება.

<u>საანგარიშო წელს 3.12 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვნებელობის მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 42).</u>

დიაგრამა N 42. 3.12 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მე-3 სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის 13 ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი აღინიშნება. ამოცანის შედეგის 7 ინდიკატორთან მიმართებით კი რაოდენობრივი მაჩვენებელი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 43).

დიაგრამა N 43. III სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ინდიკატორების განხორციელების მაჩვენებელი

3.2.4. სექტორული პრიორიტეტი 4: დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის სექტორული პრიორიტეტი მოიცავს 5 ამოცანას, ამოცანის შედეგის 6 ინდიკატორს და 6 აქტივობას. მხოლოდ 2 აქტივობის შემთხვევაში იქნა პროგრესი სრულად მიღწეული. 3 აქტივობასთან მიმართებით ღონისძიებები მეტწილად შესრულდა, ხოლო 1 აქტივობის განხორციელება საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა (იხ. დიაგრამა N 44).

დიაგრამა N 44. *აქტივობების განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში*



დეტალური პროგრესი მეოთხე მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 4.1. დაბრუნებულ მიგრანტთა ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის შესაძლებლობების გაზრდა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

4.1.1. დაბრუნებული მიგრანტების რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სარეინტეგრაციო დახმარება;

4.1.2. დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო პროგრამის კომპონენტების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიების შედეგად, სამოქმედო გეგმით გაწერილი 1 აქტივობა შესრულდა სრულად; მეორე აქტივობის შემთხვევაში სამუშაოები არ დაწყებულა.

დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით შრომის სამინისტროს, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და პარტნიორი უწყებებისა და ორგანიზაციების ჩართულობით და მხარდაჭერით ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის შემდგომი განვითარება დაბრუნებული მიგრანტების საჭიროებების და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

შეხვედრების მიუხედავად, ვერ მოხერხდა შეთანხმება პროგრამის იმ ახალ კომპონენტებზე, რომელთა სახელმწიფო პროგრამაში დამატებით, მიგრანტთა საჭიროებების და გამოწვევების დაფარვა მოხდებოდა. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გრძელდება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტით ისარგებლა 366-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია: 2021 წელს 2019 წელთან შედარებით ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია 125%-ით, ხოლო 2020 წელთან შედარებით - თითქმის 90%-ით.

4.1. ამოცანის შედეგის ერთი ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების შესრულების პროგრესი დამაკმაყოფილებელია, ხოლო ამოცანის შედეგის მეორე ინდიკატორთან მიმართებით საანგარიშო პერიოდში რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულების კუთხით პროგრესი არ ფიქსირდება, თუმცა 2021 წელს განხორციელებული ღონისძიებები საკმარის საფუძველს ქმნის სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრულ ვადებში მიღწევის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა N 45).

დიაგრამა N 45. 4.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეოთხე მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 4.2. დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის შესახებ ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1. მიღებულია სამართლებრივი აქტი, რომელიც ასახავს/განსაზღვრავს ერთიან მიდგომას დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის საკითხებზე

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო ერთი აქტივობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მეტწილად შესრულდა.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის საკითხებზე ერთიანი მიდგომების დოკუმენტის შემუშავების მიზნით, გაიმართა რამდენიმე მოსამზადებელი შეხვედრა როგორც შრომის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით (მსსკ-ის ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში), ასევე პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების (IOM, GIZ) მხარდაჭერით.

აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ჩართულ მხარეებს შორის მოსაზრებების გაცვლას, რეინტეგრაციის პოლიტიკის განვითარებისა და ერთიანი მიდგომების შესაძლებლობების განხილვას როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.
გარდა ამისა, სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მათი შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის მომზადების პროცესში არაერთი აქტივობა განხორციელდა, საკითხის კომპლექსურობის და დაინტერესებული/ჩართული მხარეების სიმრავლის გათვალისწინებით, საანგარიშო წელს ვერ მოესწრო დოკუმენტის მომზადება.

2021 წლის მდგომარეობით 4.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის მიღწევის თვალსაზრისით გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, თუმცა სამიზნე მაჩვენებლის შესრულების კუთხით პროგრესი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 46).

დიაგრამა N 46. 4.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეოთხე მიზნის მესამე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 4.3. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოში არსებული სარეინტეგრაციო შესაძლებლობების შესახებ

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.1. დაბრუნებული მიგრანტების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ინფორმირებული არიან სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო ერთი აქტივობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მეტწილად შესრულდა.

განხორციელდა აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში „რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“ ცნობიერების გაზრდას მედიასაშუალებებით, მათ შორის, სოციალური მედიით. ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის შედეგად გაიზარდა პროგრამის ბენეფიციართა მომართვიანობა. საანგარიშო პერიოდში დამატებით საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება საჭირო აღარ იყო.

2021 წელს არ ჩატარებულა კვლევა, რომლის შედეგების საფუძველზე, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა შეფასებულიყო სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ დაბრუნებულ მიგრანტთა ინფორმირებულობის დონე. შესაბამისად, 4.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესის გაზომვა საანგრიშო წელს ვერ მოხერხდა (იხ. დიაგრამა N 47).

დიაგრამა N 47. 4.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეოთხე მიზნის მეოთხე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 4.4. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა შესახებ მონაცემების გაუმჯობესება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.4.1. ლეგალური და არალეგალური სტატუსით დაბრუნებული მიგრანტების შესახებ ხელმისაწვდომია დამუშავებული მონაცემები

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო 1 აქტივობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მეტწილად შესრულდა.

დაბრუნებულ მიგრანტთა შესახებ მონაცემთა გაუმჯობესების მიზნით, დამოუკიდებელი ექსპერტი აფასებდა შრომის სამინისტროს შესაბამის ბაზებს და ამზადებდა შესაბამის ანგარიშს. შეფასების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა შეხვედრა როგორც დევნილთა სააგენტოს, ისე სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების და სხვა რელევანტური დანაყოფების წარმომადგენლებთან.

ვინაიდან აქტივობის განხორციელება დაკავშირებული იყო დონორების ფინანსურ მხარდაჭერასთან, მათთან მუშაობას და დაფინანსების მოძიებას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო.

<u>აღნიშნულიდან გამომდინარე, შეფასების დოკუმენტზე მუშაობა (რომელიც ამ ეტაპზე მომზადების პროცესშია) 2022 წელს უნდა დასრულდეს. შესაბამისად, ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესის შეფასება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც შეფასების ანგარიშის საფუძველზე მონაცემების გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმება და განხორციელდება სხვადასხვა აქტივობები (იხ. დიაგრამა N 48).</u>

დიაგრამა N 48. 4.4. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეოთხე მიზნის მეხუთე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 4.5. დაბრუნებული მიგრანტების ადგილობრივ შრომით ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდაჭერა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.5.1. საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რაოდენობა, რომელთაც ისარგებლეს პროფესიული საკვალიფიკაციო პროგრამებით და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო ერთი აქტივობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება დაბრუნებული მიგრანტების პროფესიული განათლება როგორც საკვალიფიკაციო, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე. 2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა დაბრუნებული მიგრანტის სტატუსის მქონე 6, ხოლო პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე - 11 პირი.

<u>2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 4.5 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი დამაკმაყოფილებელია (იხ. დიაგრამა N 49).</u>

დიაგრამა N 49. 4.5. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მე-4 სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ორი ინდიკატორის შემთხვევაში რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესი აღინიშნება, ხოლო ოთხ ინდიკატორთან მიმართებით სამიზნე მაჩვენბლების შესრულების პროგრესი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 50).

დიაგრამა N 50. IV სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი

3.2.5. სექტორული პრიორიტეტი 5. დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში

აღნიშნული სექტორული პრიორიტეტი აერთიანებს 3 ამოცანას, ამოცანის შედეგის 6 ინდიკატორს და 10 აქტივობას. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის განვითარებაში დიასპორის ჩართულობის მიმართულებით, 2021 წელს დაგეგმილი ყველა აქტივობა სრულად (7) ან მეტწილად (3) განხორციელდა (იხ. დიაგრამა N 51).

დიაგრამა N 51. აქტივობების განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში



დეტალური პროგრესი მეხუთე მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 5.1. საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მხარდაჭერა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

5.1.1. უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით გაწეული სახელმწიფო დახმარებით;

5.1.2. ქვეყნების და საჯარო სკოლების რაოდენობა, სადაც ტარდება ქართული ენის გაკვეთილები;

5.1.3. საგანმანათლებლო ხასიათის პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო სამი აქტივობა, რომელთაგანაც საანგარიშო პერიოდში სრულად - ორი აქტივობა, ხოლო მეტწილად - ერთი აქტივობა შესრულდა.

საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტრო სხვადასხვა სახის ღონისძიებებს ახორციელებს. საანგარიშო პერიოდში პროგრამის - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერის“ ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. საკონკურსო კომისიამ 40 განაცხადიდან გამოავლინა 21 გამარჯვებული ანსამბლი.

ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში (თურქეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, აშშ და გერმანია) მოქმედ ხუთ ქართულ საკვირაო სკოლას გადაეცა სახელმძღვანელოები.

საანგარიშო წელს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში დაფინანსდა ოთხი საგანმანათლებლო პროექტი შემდეგ ქვეყნებში/ქალაქებში:

1. აშშ, ლოს-ანჯელესი - „კალიგრაფია როგორც ხელოვნების დარგი“;
2. ნიდერლანდები, ამსტერდამი - „დიასპორული ონლაინსკოლა - გაკვეთილები საზღვრებს გარეთ“;
3. საფრანგეთი, გრენობლი - „ქართული ონლაინსკოლა“;
4. შვეიცარია, ბერნი - „ქართული დიასპორის წიაღში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლა და ბაღი ქ. ბერნში“.

დიასპორასთან ურთიერთობის გაღრმავების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, გაიმართა შეხვედრები პარტნიორ ორგანიზაციებთან და აკადემიის წარმომადგენლებთან. შესწავლილ იქნა შერჩეული ოთხი ქვეყნის კანონმდებლობა; აგრეთვე, განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი. შედეგად, შემუშავდა

განახლებული კანონის პროექტი. საკანონმდებლო ცვლილების პროექტზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და მისი მომზადების დასრულება იგეგმება 2022 წელს.

2021 წლისთვის 5.1 ამოცანის შედეგის ორ ინდიკატორზე სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი თვალსაჩინოა, კერძოდ, 2021 წელს ჩატარებული კონკურსების შედეგად ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით გაწეული სახელმწიფო დახმარებით ისარგებლა 21-მა ანსამბლმა; რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებს, მიღწეულია 5.1.3-ის შუალედური სამიზნე მაჩვენებლის 13,5% და საბოლოო მაჩვენებლის 5%. ამოცანის შედეგის მესამე ინდიკატორთან მიმართებით საანგარიშო პერიოდისთვის მაჩვენებელი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 52).

დიაგრამა N 52. 5.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეხუთე მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 5.2. ემიგრაციაში მყოფი მაღალკვალიფიციური თანამემამულეების ქვეყნის განვითარებაში ჩართულობის ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.1. პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ემსახურება მაღალკვალიფიციური თანამემამულეების ქვეყნის განვითარებაში ჩართულობას

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო 5 აქტივობა, რომელთაგან 4 საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა. ერთი აქტივობის შემთხვევაში შედეგი მეტწილად იქნა მიღწეული.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2021 წელს განახორციელა 3 დიასპორული პროგრამა:

1. პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ - საკონკურსო კომისიამ პროგრამის ფარგლებში შემოსული 60 განაცხადიდან 18 გამარჯვებული გამოავლინა. პროგრამა მიზნად ისახავს ქართული დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლებთან მჭიდრო

კავშირის დამყარებას, მათ მიერ კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების განხორციელებას;

2. „დიასპორის დაჯილდოება 2021“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“, რის საფუძველზეც გაიმართა დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია. კონკურსის ფარგლებში 6 ნომინაციაში გამოვლინდა 12 გამარჯვებული;
3. პროგრამა - „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ საკონკურსო კომისიამ შემოსული 83 პროექტიდან გამოავლინა 22 გამარჯვებული.

გარდა აღნიშნული პროგრამებისა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება:

- ჩატარდა დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ეკონომიკური ფორუმი;
- მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების მიერ კერძო კომპანიებისთვის განხორციელდა ექსპერტული დახმარება;
- განახლდა დიასპორის მონაცემთა ბაზა (პროფილების დამატება).

2021 წლისთვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 5.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების შესრულების პროგრესი დამაკმაყოფილებელია და პასუხისმგებელი უწყება ახლოსაა შუალედურ და საბოლოო მაჩვენებლის მიღწევასთან (იხ. დიაგრამა N 53).

დიაგრამა N 53. 5.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეხუთე მიზნის მესამე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 5.3. სახელმწიფოსა და საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებს შორის კავშირების გაღრმავება და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი

5.3.1. დიასპორულ ვებპორტალზე განთავსებულ სიახლეებსა და პორტალის თემატურ სექციებში საზღვარგარეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა;

5.3.2. საქართველოს ეკონომიკური და საინვესტიციო გარემოს, კულტურულ-საგანმანათლებლო, ტურისტული პოტენციალის, რეინტეგრაციის და ადგილსამყოფელ

ქვეყნებში ინტეგრაციის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული თანამემამულეების რაოდენობა.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი 2 აქტივობიდან ერთი სრულად, მეორე კი მეტწილად შესრულდა.

განახლდა დიასპორის ვებპორტალი როგორც ტექნიკურად, ისე თემატურად, კერძოდ, მისი ორი სექცია: 1. „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა"; 2. „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი"; დაემატა ორი ახალი სექცია: 1. „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და ანსამბლების მხარდაჭერა"; 2. საკონტაქტო ინფორმაციები. ამასთან, ეტაპობრივად შეიცვალა ინტერფეისი სექციაში - „მიმდინარე დიასპორული სიახლეები" და გამოქვეყნდა 69 სიახლე.

საანგარიშო პერიოდში ასევე მომზადდა ორი სამუშაო დოკუმენტი: 1. დიასპორის ვებპორტალის ტექნიკური საჭიროებები; 2. პორტალის ფუნქციური დოკუმენტის სამუშაო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მოხდება შემდგომ ფუნქციონალების დამატება, მათ შორის, მომხმარებლის ფუნქციონალის, რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდა შესაბამისი ადამიანური რესურსის არარსებობის გამო.

2021 წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა დიასპორის წარმომადგენლების ინფორმირებულობას სხვადასხვა საკითხზე, ჯამში დაესწრო დიასპორის 7,358 წარმომადგენელი, აქედან: იტალიის რესპუბლიკაში და ესპანეთის სამეფოში ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებას დისტანციურად დაესწრო დიასპორის 310 წარმომადგენელი, ხოლო ფიზიკურად - 30; დიასპორის ვებპორტალის რეინტეგრაციის სექციას ეწვია 1,974; სოფლის მეურნეობის პროგრამების სექციას - 2,104 და ბიზნესშესაძლებლობების სექციას - 2,940 ვიზიტორი.

2021 წლისთვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, განახლებულ დიასპორულ ვებპორტალს საზღვარგარეთიდან 17,787 ვიზიტორი ჰყავდა, ხოლო ჯამურად 150,056 ნახვა[9] *ჰქონდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირველივე წელს 5.3 ამოცანის შედეგის ორივე ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლები გადაჭარბებით იქნა მიღწეული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორივე სამიზნე მაჩვენებელი არ იყო სწორად და რეალისტურად განსაზღვრული* (იხ. დიაგრამა N 54).

დიაგრამა N 54. 5.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

[9] ერთი მომხმარებლის მიერ რამდენმეჯერმე განხორციელებული ვიზიტი, მათ შორის საქართველოდან.



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მე-5 სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ხუთ ინდიკატორთან მიმართებით სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესი აღინიშნება. მხოლოდ ერთ ინდიკატორთან მიმართებით არ ფიქსირდება სამიზნე მაჩვენებლების შესრულების პროგრესი (იხ. დიაგრამა N 55).

დიაგრამა N 55. V სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი

3.2.6. სექტორული პრიორიტეტი 6. თავშესაფრის სისტემის განვითარება

თავშესაფრის სისტემის განვითარების სექტორული პრიორიტეტი მოიცავს ორ ამოცანას, ამოცანის შედეგის ხუთ ინდიკატორს და რვა აქტივობას. სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებიდან შვიდი სრულად განხორციელდა, ხოლო ერთის შემთხვევაში პროგრესი მეტწილად მიღწეულია (იხ. დიაგრამა N 56).

დიაგრამა N 56. აქტივობების განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში



დეტალური პროგრესი მეექვსე მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 6.1. თავშესაფრის პროცედურის შემდგომი დახვეწა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები

6.1.1. საქართველოს საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობასთან;

6.1.2. იმ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, რომლებიც ჩაერთნენ მიღების გაუმჯობესებულ პროცედურებში.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო 2 აქტივობა. ორივე შემთხვევაში აქტივობა სრულად განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში შეფასდა „საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა მიღების ერთიანი სტანდარტების შესახებ“ ევროდირექტივასთან საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პროცედურების სამართლებრივი რეგულირების შესაბამისობა და მომზადდა სათანადო დოკუმენტი. ასევე შემუშავდა ანალიტიკური ანგარიში.

თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პროცედურების განხორციელებისას საჭიროებაზე მორგებული სამედიცინო შემოწმება გაიარა სამიზნე ჯგუფში მყოფ თავშესაფრის მაძიებელთა 100%-მა.

2021 წლისთვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 6.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი დამაკმაყოფილებელია (იხ. დიაგრამა N 57).

დიაგრამა N 57. 6.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეექვსე მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 6.2. თავშესაფრის სისტემის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

6.2.1. თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა;

6.2.2. თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე პირთა რეზერვში ჩარიცხულთა რაოდენობა;

6.2.3. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა რაოდენობა, რომელთა რეფერირებაც მოხდა სერვისების განმახორციელებელ უწყებებთან.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო ექვსი აქტივობა. ხუთი აქტივობა სრულად, ხოლო ერთი აქტივობა მეტწილად შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში პარტნიორ ორგანიზაციებთან (ICMPD, UNHCR) თანამშრომლობით საერთაშორისო დაცვის საკითხებზე შსს-ს თანამშრომლებისთვის ჩატარდა 20 ტრენინგი და გადამზადდა სხვადასხვა დანაყოფის 556 თანამშრომელი. ამასთან, შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ანგარიში განხორციელებული სწავლებების შესახებ. გარდა ამისა, თავშესაფრის საკითხებზე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა გადამზადების კუთხით, 4 რეგიონულ ცენტრში (ახალციხე, ბათუმი, ქუთაისი, თბილისი) ჩატარდა 4 ტრენინგი და გადამზადდა 128 თანამშრომელი.

ასევე, თავშესაფრის სისტემის საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა სასამართლოს წარმომადგენლებისთვის. სწავლებას - „თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები“ - 24 მონაწილე დაესწრო (12 მოსამართლე, 12 სასამართლოს მოხელე). მსოფლიოში და საქართველოში

შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე აღნიშნულ თემატიკაზე დამატებით ტრენინგი ვერ განხორციელდა და მისი ჩატარება 2022 წელს დაიგეგმა.

საანგარიშო წელს თავშესაფრის პროცედურაში ჩართული უფლებამოსილი პირებისათვის, საერთაშორისო სასამართლოების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ თავშესაფრის მიმართულებით მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გაცნობის და განხილვის მიზნით, ჩატარდა 3 შეხვედრა. ასევე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები აისახა თავშესაფრის მინიჭების შესახებ მომზადებულ 421 დასკვნაში.

შსს-ს სპეციალური საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით განხორციელდა (ერთი) სტაჟირების პროგრამა, რომლის საფუძველზეც 2020 წლის 24 აგვისტოდან 2021 წლის 24 თებერვლამდე ორმა პირმა სტაჟირება გაიარა შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოში. სტაჟირების გავლის შემდგომ ორივე მათგანი შრომითი ხელშეკრულებით აღნიშნულ სამმართველოში დასაქმდა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თავშესაფრის საკითხებზე, რომელსაც ესწრებოდნენ რელევანტური უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა რეფერირების მექანიზმის შემუშავება და უწყებების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების იდენტიფიცირება. შეხვედრაზე მონაწილეები შეთანხმდნენ რეფერირების მექანიზმის შემუშავების მიზნით შემდგომში განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 6.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით სამიზნე მაჩვენებლების შესრულების პროგრესი ორ - 6.2.1 და 6.2.2 - ინდიკატორთან დაკავშირებით ფიქსირდება. 6.2.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორის განხორციელების პროგრესი გაიზომება მას შემდეგ, რაც შემუშავებული რეფერირების მექანიზმის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდება (იხ. დიაგრამა N 58).

დიაგრამა N 58. 6.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მე-6 სექტორული პრიორიტეტის სამი ამოცანის შედეგის ინდიკატორის შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესი აღინიშნება, ხოლო ორ ინდიკატორთან მიმართებით პროგრესი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 59).

დიაგრამა N 59. VI სექტორული პრიორიტეტის ამოცანების შედეგის ინდიკატორების განხორციელების მაჩვენებელი

3.2.7. სექტორული პრიორიტეტი 7. უცხოელთა ინტეგრაცია

უცხოელთა ინტეგრაციის სექტორული პრიორიტეტი მოიცავს ხუთ ამოცანას, ამოცანის შედეგის ექვს ინდიკატორს და ათ აქტივობას. სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებიდან 5 სრულად იქნა განხორციელებული. 4 აქტივობასთან მიმართებით ღონისძიებები მეტწილად შესრულდა, ხოლო 1 აქტივობასთან მიმართებით - ნაწილობრივ (იხ. დიაგრამა 60).

დიაგრამა N 60. აქტივობების განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში



დეტალური პროგრესი მეშვიდე მიზნის პირველ ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 7.1. საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორები:

7.1.1. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების რაოდენობა;

7.1.2. პროგრამის ბენეფიციართა წლიური რაოდენობა.

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო 2 აქტივობა. 1 აქტივობა სრულად განხორციელდა, ხოლო მეორე - ნაწილობრივ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსსკ-ის ინტეგრაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განხილული იყო უცხოელთა ინტეგრაციის მიმართულებით არსებული გამოწვევები და შემოთავაზებული იყო ინტეგრაციის პროგრამის საპილოტე კომპონენტი. იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე დაყრდნობით, დევნილთა სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც, გარდა უკვე არსებული კომპონენტებისა (4), შეიცავს ახალ, სამედიცინო დახმარების საპილოტე კომპონენტსაც. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო პროგრამის სამედიცინო დახმარების კომპონენტით ისარგებლა 47-მა ბენეფიციარმა, სულ კი, ინტეგრაციის ცენტრში არსებული სერვისების ფარგლებში, დახმარება გაეწია 167 ბენეფიციარს, ხოლო 450-მა პირმა ისარგებლა საკონსულტაციო სერვისით.

2021 წელს „საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში უწყვეტად, დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა საგანმანათლებლო კურსების (ქართული ენა, სამოქალაქო განათლება, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლება) სწავლება, კერძოდ:

- ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე, რომლის სწავლებასაც უზრუნველყოფს სსიპ - ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, დარეგისტრირებულია და სასწავლო პროცესში ჩართულია 103 ბენეფიციარი (A1 დონე);
- 6 ჯგუფი (85 მსმენელი), A2 დონე - 1 ჯგუფი (15 მსმენელი);
- სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების და სამოქალაქო განათლების კურსებში ჩაერთო 20 საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირი; ინტეგრაციის ცენტრს კონსულტაციისთვის მომართა 450-ზე მეტმა ბენეფიციარმა, რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია სხვადასხვა, მათ შორის, ჯანდაცვის, იურიდიულ, საყოფაცხოვრებო, საგანმანათლებლო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ბენეფიციარები გადამისამართდნენ შესაბამის სამსახურებთან.

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 7.1 ამოცანის შედეგის ორივე ინდიკატორთან მიმართებით სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესი ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელთა ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა ახალ კომპონენტს (1-ლი ინდიკატორი) საპილოტე რეჟიმში ახორციელებს, პროგრესი მაინც დამაკმაყოფილებელია. ამოცანის შედეგის მეორე ინდიკატორის მაჩვენებლის მიხედვით კი ბენეფიციართა წლიურმა რაოდენობამ 167 ადამიანი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 61).

დიაგრამა N 61. 7.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი



დეტალური პროგრესი მეშვიდე მიზნის მეორე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 7.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.2.1. ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სერვისების მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი ორივე აქტივობა სრულად განხორციელდა.

2021 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებული თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის კუთხით, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ გეგმური ან/და არაგეგმური მონიტორინგი (ჯამში - 9 მონიტორინგი) განახორციელა საქართველოს მასშტაბით არსებულ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში, ხოლო სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ცენტრალური აპარატის, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩაატარა 3 ტრენინგი და ტრეფიკინგის თემაზე გადამზადდა 26 თანამშრომელი.

საანგარიშო პერიოდში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის და დახმარების სერვისებით ისარგებლა 6-მა პირმა.

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 7.2 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესი ფიქსირდება, კერძოდ: საბაზისო მაჩვენებელთან (4) შედარებით სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა 1/3-ით (6-მდე) გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 62).

დიაგრამა N 62. 7.2. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეშვიდე მიზნის მესამე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 7.3. იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.1. შემუშავებული სამართლებრივი აქტი, რომელიც ასახავს/განსაზღვრავს ერთიან მიდგომას იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხებზე

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი ორივე აქტივობა მეტწილად შესრულდა.

იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით, დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების (IOM, UNHCR) აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ, შესწავლილ იქნა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა; ექსპერტთა ჯგუფი მუშაობს ერთიანი მიდგომების დოკუმენტის გზამკვლევზე; ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და განიხილეს იმიგრანტთა ინტეგრაციისადმი ერთიანი მიდგომების დოკუმენტის შემუშავების პროცესი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მნიშვნელობიდან, კომპლექსურობიდან და დაინტერესებული მხარეების სიმრავლიდან გამომდინარე, დოკუმენტზე მუშაობა საანგარიშო პერიოდში ვერ დასრულდა. შესაბამისად, მასზე მუშაობა გაგრძელდება 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

იმიგრანტთა ინტეგრაციის მიდგომების ერთიანი დოკუმენტის შემუშავების პროცესში, შრომის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი

პოლიტიკის დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებით. ტრენინგი ორგანიზებული იყო GIZ-ის მიერ. ამასთან, იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხებზე დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველო და დევნილთა სააგენტოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ არასამთავრობო ორგანიზაცია - „მიგრაციის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგს. გამომდინარე იქიდან, რომ მეოთხე კვარტალში დევნილთა სააგენტოს რეინტეგრაციისა და ინტეგრაციის სამსახური ახორციელებდა რეინტეგრაციის პროგრამის მეორე ეტაპის მონიტორინგს, დროის სიმცირის გამო შეუძლებელი გახდა ტრენინგების დაგეგმვა.

2021 წლის ბოლოსთვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 7.3 ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესი არ ფიქსირდება (იხ. დიაგრამა N 63).

დიაგრამა N 63. 7.3. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეშვიდე მიზნის მეოთხე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 7.4. იმიგრანტთა პოტენციალის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.4.1. ქვეყნის განვითარებაში იმიგრანტთა პოტენციალის შესახებ საზოგადოების დადებითი დამოკიდებულების მაჩვენებელი

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობა სრულად განხორციელდა.

ქვეყნის განვითარებაში იმიგრანტთა პოტენციალის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც გავრცელდა დევნილთა სააგენტოს კუთვნილი სოციალური მედიის საშუალებებით.

2021 წელს არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, შეაფასებდა საზოგადოების დამოკიდებულებას ქვეყნის განვითარებაში იმიგრანტთა პოტენციალის

<u>შესახებ. შესაბამისად, 7.4 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის პროგრესის გაზომვა საანგარიშო პერიოდში არ არის შესაძლებელი (იხ. დიაგრამა N 64).</u>

დიაგრამა N 64. 7.4. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი

დეტალური პროგრესი მეშვიდე მიზნის მეხუთე ამოცანასთან მიმართებით

ამოცანა 7.5. იმიგრანტებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ფართო შესაძლებლობების შექმნა

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.5.1. საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მცხოვრები უცხოელების რაოდენობა, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელ (აღიარებულ) სერტიფიკატს

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ამოცანის ფარგლებში სამოქმედო გეგმით გაწერილი 3 აქტივობიდან 2 სრულად განხორციელდა და ერთი აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვის მქონე და შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის“ ფარგლებში, ჩართული იყო 3 საჯარო სკოლა: 2 თბილისში და 1 მარტყოფში. აღნიშნულ სკოლებში სულ ჩაირიცხა 30 ბენეფიციარი. 2020 წლის სექტემბერში სკოლაში ჩარიცხული 12 ბენეფიციარიდან 2021 წლის ივნისის გამოცდებზე A1 და A2 დონე დაძლია 9 ბენეფიციარმა. ამასთან, 2021 წლის იანვარში ჩარიცხული 5 მოსწავლიდან 3-მა დეკემბერში წარმატებით ჩააბარა გამოცდები და დაძლია A2 დონე.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქართული ენის სწავლება მიმდინარეობდა დისტანციური/ელექტრონული ფორმატით. შესაბამისად, განათლების სამინისტროს მიერ სწავლების პროცესის მონიტორინგი ხდებოდა დისტანციურად გაკვეთილზე დასწრებით. ამასთან, ქვეპროგრამის განხორციელების ტერიტორიული არეალის გაზრდის მიზნით,

საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან გამოთხოვილია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე 6 წლიდან 18 წლამდე პირებზე, რომლების სასწავლო პროცესში ჩართვა და ერთწლიან კურსზე ჩარიცხვა იგეგმება 2022 წლის იანვრიდან.

თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე 16 წლის და ზემოთ ასაკის პირთათვის ქართული ენის სწავლების კუთხით მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში, ქართულ ენას ეუფლება 16 ბენეფიციარი. სწავლება დასრულდება 2022 წლის იანვარში. ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა ნატურალიზაციის ხელშეწყობისთვის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელების კუთხით 16 წლის და ზემოთ ასაკის ლტოლვილებისათვის, „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში, სახელმწიფო ენას (A1 და A2 დონე) ეუფლებოდა 2021 წელს ჩარიცხული 103 ბენეფიციარი, აქედან ამოირიცხა/გაირიცხა - 44, დაასრულა 7-მა, ხოლო სწავლას აგრძელებს 52.

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მცხოვრებმა 15-მა უცხოელმა მიიღო სახელმწიფო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. შესაბამისად, 7.5 ამოცანის შედეგის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლების შესრულების თვალსაზრისით პროგრესი დამაკმაყოფილებელია (იხ. დიაგრამა N 65).

დიაგრამა N 65. 7.5. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი



2021 წელს განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მე-7 სექტორული პრიორიტეტის ამოცანის შედეგის ოთხი ინდიკატორის შემთხვევაში შესრულების პროგრესი აღინიშნება, ხოლო ორ ინდიკატორთან მიმართებით არ ფიქსირდება მაჩვენებელი (იხ. დიაგრამა N 66).

დიაგრამა N 66. VII სექტორული პრიორიტეტის ამოცანის შედეგის ინდიკატორების შესრულების მაჩვენებელი



4. გამოწვევები და რეკომენდაციები

2021 წლის ყველაზე დიდი გამოწვევა იყო COVID-19-ის პანდემია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე და, განსაკუთრებით, მიგრაციაზე. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა მსოფლიოსა და საქართველოში არსებულმა COVID-19-ით შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ და ცალკეულმა შეზღუდვებმა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საერთო რაოდენობიდან (114) 16 აქტივობის შემთხვევაში (14%) გავლენა მოახდინა COVID-19-ის პანდემიამ (იხ. დიაგრამა N 5).

პანდემიის გარდა, შემდეგი გამოწვევები გამოიკვეთა ლოგიკური ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის შემუშავების და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის პროცესში:

- ამოცანის/აქტივობის შესასრულებლად საჭირო სამუშაოს მოცულობის არასრულად შეფასება და, შესაბამისად, განხორციელების ვადების გარკვეული ცდომილებით განსაზღვრა, ვადებში ჩამორჩენა ან წინსწრებით შესრულება;
- ინდიკატორების და სამიზნე მაჩვენებლების ცდომილებით შეფასება და, შესაბამისად, გადაჭარბებით შესრულება.

დადგენილ ვადებში აქტივობების განხორციელების შეფერხება/განუხორციელებლობა უმეტეს შემთხვევაში აფერხებს სტრატეგიული ამოცანების შესრულებას და საერთო ჯამში გავლენა აქვს სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაზე.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ განისაზღვრა შემდეგი სახის რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება პასუხისმგებელ უწყებებს და მსსკ-ის სამდივნოს უფრო ეფექტიანად წარმართონ როგორც სამოქმედო გეგმის შემუშავების, ასევე მისი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი:

<u>ზოგადი რეკომენდაციები:</u>

- სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის მიზნით, სექტორული პრიორიტეტების მიხედვით გაანალიზდეს იმ ამოცანების შედეგის ინდიკატორები, რომლებსაც 2021 წლის ბოლოსთვის რაოდენობრივი მაჩვენებელი არ ჰქონიათ. ამ კრიტერიუმით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ იმ სექტორულ პრიორიტეტებს, რომელთაც ყველაზე მეტი აქტივობა და ამოცანის შედეგის ინდიკატორი აქვთ (იხ. დიაგრამა N 8);
- ყურადღება გამახვილდეს იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთაც შედეგების ინდიკატორის მიღწევის შუალედურ მაჩვენებლად განსაზღვრული აქვთ 2022 წელი და 2021 წლის ბოლოსთვის პროგრესის მაჩვენებელი ამოცანის შედეგის ინდიკატორთან მიმართებით არ ფიქსირდება;
- ყურადღება გამახვილდეს იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთაც 2021 წლის ბოლოსთვის შედეგების ინდიკატორის მიღწევასთან მიმართებით საშუალო პროგრესი აქვთ, თუმცა სამიზნე მაჩვენებლების (2025 წელი და 2030 წელი) მიღწევის თვალსაზრისით საჭიროებენ შესაბამისი ღონისძიებების აქტიურ იმპლემენტაციას;
- შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდეს წინა წლის სამოქმედო გეგმის იმ აქტივობებზე, რომელთა განხორციელებაც შეჩერდა ან/და არ დაწყებულა;
- შემდგომი წლების სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდეს იმ სექტორულ პრიორიტეტებზე, რომლებსაც მოცემული მომენტისთვის პროგრესის მაჩვენებელი არ ან მინიმალური ექნებათ;
- გარკვეული სექტორული პრიორიტეტების ფარგლებში (გადაჭარბებით) მიღწეული პროგრესის მიუხედავად, დაიგეგმოს და განხორციელდეს რელევანტური აქტივობები, რომლებიც თანმიმდევრულად და ეტაპობრივად უზრუნველყოფენ ამოცანის შედეგების ინდიკატორების საბოლოო მაჩვენებლების მიღწევადობას;
- ამასთან, გაანალიზდეს რამდენად რეალისტურია ლოგიკური ჩარჩოთი გაწერილი ამოცანების შედეგების ინდიკატორების შუალედური და საბოლოო მაჩვენებლები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

<u>რეკომენდაციები სექტორული პრიორიტეტების/ამოცანების მიხედვით:</u>

ყურადღება გამახვილდეს იმ ამოცანების შესრულებაზე, რომელთაც 2021 წლის ბოლოსთვის შედეგების ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი არ აქვთ და სამიზნე მაჩვენებლების მიღწევისთვის ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

- მიგრაციის მართვის გაუმჯობესება:
    - *მიგრაციის სტატისტიკის ხარისხის გაზრდის მიზნით ახალი მონაცემების დამუშავება* - უკვე მიღწეული პროგრესის გაუმჯობესებისთვის, მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელმა უწყებამ შეიმუშაოს შესაბამისი მეთოდოლოგია;
    - *მუნიციპალიტეტებში მიგრაციის საკითხებზე პროექტების განხორციელება* - საანგარიშო წელს მნიშვნელოვანი საფუძველი (ადამიანური რესურსების

განვითარება) შეიქმნა მუნიციპალიტეტებში პროექტების განხორციელების კუთხით. შემდგომ წლებში აუცილებელია დაიწყოს კონკრეტული პროექტის იმპლემენტაციის ფაზა.

- ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა:
  - *შრომითი მიგრაციის მართვის გაუმჯობესება* - მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში პასუხისმგებელი უწყების მიერ შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდა, მნიშვნელოვანია, რომ 2022 წელს მაქსიმალურად შესრულდეს ის აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს სამიზნე მაჩვენებლების (2022 წელი და 2025 წელი) მიღწევას;
  - *საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების (ცირკულარული შრომითი მიგრაციის) ხელშეწყობა და დასაქმება* - მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელმა უწყებამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი გაფორმებული შეთანხმებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა დასაქმებას;
  - *საქართველოს სავიზო და ბინადრობის პოლიტიკის დახვეწა* - სამიზნე მაჩვენებლების (2022 წელი და 2025 წელი) მიღწევის მიზნით, აუცილებელია საანგარიშო პერიოდში ინიციირებული აქტივობების დასრულება და შემდგომ წლებში კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება;
  - *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა* - მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო წელს პასუხისმგებელი უწყების მიერ გარკვეული აქტივობები განხორციელდა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიმართულებით პროგრესი მიღწეული იქნა, სამიზნე (2025 წელი და 2030 წელი) მაჩვენებლების მიღწევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შესაბამისი ღონისძიებების დროულად დაგეგმვა და განხორციელება (განსაკუთრებით, უცხოელი აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობის მიზნით);
  - *საკონსულო სერვისების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება* - აღნიშნული ამოცანის ჭრილში მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყებების აქტიური მუშაობა საქართველოს გარე მომსახურების სავიზო ცენტრების გახსნისთვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლის შექმნა/განვითარებაზე, რის გარეშეც შეუძლებელია სამიზნე მაჩვენებლების მიღწევა.

- არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა
  - *საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო და საზღვაო მონაკვეთებზე ელექტრონული დაკვირვების შესაძლებლობების გაძლიერება* - მნიშვნელოვანია პასუხისმგებელმა უწყებამ დაასრულოს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც 2021 წელს დაიწყო და რომელთა გარეშეც შეუძლებელია სამიზნე მაჩვენებლების (2025 წელი და 2030 წელი) მიღწევა;

- *არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სასაზღვრო უსაფრთხოების დანაყოფებისთვის მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარება* - წინა ამოცანის მსგავსად, აღნიშნულ ამოცანასთან მიმართებითაც მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელმა უწყებამ დაასრულოს 2021 წელს ინიციირებული აქტივობები;
- *დოკუმენტების უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და გაუმჯობესება* - ეტაპობრივად დაიგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება შესაბამისი ბიზნესპროცესების წარმოებისკენ.

➢ დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია
- *სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის შესაძლებლობების გაზრდა* - სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის მიზნით, აუცილებელია სარეინტეგრაციო კომპონენტების განვითარების მიზნით ინიციირებული საქმიანობის დასრულება;
- *დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის შესახებ ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება* - აღნიშნული მიმართულებით გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული, თუმცა შუალედური მაჩვენებლის (2022 წ.) შესასრულებლად, მნიშვნელოვანი სამუშაოა განსახორციელებელი.

➢ დიასპორის ჩართულობა
- *საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების მხარდაჭერა* - დიასპორის წარმომადგენლებისთვის ჩატარდეს ქართული ენის გაკვეთილები.

➢ თავშესაფრის სისტემის განვითარება
- *თავშესაფრის სისტემის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება* - რეფერირების მექანიზმის შემუშავების მიზნით დაიგეგმოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრულ ვადებში მიღწევას.

➢ უცხოელთა ინტეგრაცია
- *ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება იმიგრანტთა ინტეგრაციაზე* - გადადგმული ნაბიჯების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია, პასუხისმგებელმა უწყებებმა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად დაგეგმონ და განახორციელონ შემდგომი ღონისძიებები.

<u>სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს შემდეგი რეკომენდაციები</u>:

- აქტივობების დაგეგმვის დროს შესრულების ვადად განისაზღვროს ოპტიმალური პერიოდი და არა მაქსიმალური ვადა;
- სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს იმ აქტივობების განხორციელება, რომელთაც შესრულების ვადად მე-3 ან მე-4 კვარტალი აქვთ განსაზღვრული.